ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 272 (18814) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲩᲕᲔᲜ, საბჭოთა მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები და კოსმონავტები, რომლებიც ვმონაწილეობდით „სალუტ-7“ — „სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ხანგრძლივი ექსპედიციის მომზადებისა და განხორციელებაში, დიდ მადლობას ვუხდით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩვენს შრომაში მუდმივი მხარდაჭერისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევასთან დაკავშირებით გულთბილი მოლოცვისათვის.

150 დღე-ღამის პილოტირებული ფრენის დროს შესრულდა სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების დაგეგმილი პროგრამა, განხორციელდა ეკიპაჟის ორი გასვლა ღია კოსმოსურ სივრცეში, რომლის დროსაც „სალუტ-7“ სადგურის კორპუსზე დამონტაჟდა ორი დამატებითი მზის ბატარეა პილოტირებული კომპლექსის საერთო ელექტრული სიმძლავრის გადიდებისათვის.

კოსმონავტების ვლადიმერ ლიახოვისა და ალექსანდრე ალექსანდროვის მიერ შესრულებული ეს უნიკალური სამონტაჟო ოპერაციები არსებითად აფართოებენ „სალუტ-7“ ორბიტულ სადგურში სამეცნიერო გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შესრულების შესაძლებლობებს, ადასტურებენ დედამიწის ირგვლივ ორბიტებზე დიდი გაბარიტის პილოტირებული კომპლექსების აწყობის რეალობასა და პერსპექტიულობას.

მორიგი ხანგრძლივი პილოტირებული ფრენის წარმატებით დამთავრება ამ სამშაოების მონაწილე კოლექტივებისა და საწარმოების ღირსეული წვლილია მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმების შესრულებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღვუთქვამთ, რომ მთელს ჩვენს ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ მშვიდობიანი მიზნით, დედამიწის ყველა ადამიანის საკეთილდეოდ კოსმოსური სივრცის შემდგომი ათვისების ახალ ამოცანათა გადაწყვეტას.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

10 ᲔᲠᲓᲖᲘᲗᲘᲡ სიტყვას, რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქმულ სიტყვას ავტორიტეტი აქვს ხალხში. პრესა ჩვენს საზოგადოებაში, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, სოციალისტური დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, საჭირბოროტო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მშრომელთა ჩაბმის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საშუალებაა. პრესის, ტელევიზიის, რადიოს გამოსვლებსა უნდა გაგვიკეთოს და დაგვარწმუნოს ცხოვრებაში ღრმად ჩაწვდომით, დასაბუთებული მოსაზრებებით, აზრისა და სიტყვის სიახლით, უნარიანად გაუწიოს პროპაგანდა სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, მკაფიოდ წარმოსახოს ახალი საზოგადოების მშენებლის — ჩვენი ეპოქის ნამდვილი გმირის ხასიათი და იერ-სახე.

პარტიული კომიტეტები დღენიადაგ ზრუნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მებრძოლურობისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, პრესის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ბიუროს სხდომებზე, პლენუმებზე ახლა უფრო ღრმად განიხილავენ გაზეთების საქმიანობის საკვანძო საკითხებს, პრინციპული პრობლემები და კრიტიკული გამოსვლები კონტროლზე ამყავთ, მათ გამო აჩაღებენ ორგანიზაციულ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგალითად, სკკპ მაგადანის საოლქო კომიტეტმა განიხილა გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის ამაღლების გზები. სკკპ კარელიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე მკაცრად გააკრიტიკეს პრესის სიგნალებისადმი ზოგიერთი ხელმძღვანელის ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა ჟურნალისტთა კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის. შესამჩნევად გაიზარდა ყურადღება რაიონული პრესისადმი ოდესის, პოლტავის ოლქებში. ამჟამად მომდინარე რაიონულ, საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე ეხებიან ადგილობრივი გაზეთების მუშაობასაც. მაგრამ არის სხვა მაგალითებიც. ოლქის პრესის საქმიანობას არარეგულარულად აანალიზებს ყაზახეთის კომპარტიის ჟეზყაზგანის საოლქო კომიტეტი, რაც ამცირებს მის ქმედითობას.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიულ კომიტეტებს ეხმარება გააანალიზონ და განაზოგადონ პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისადმი ნაკლოვანებანი ხელმძღვანელობის პრაქტიკა, განავითარონ და განამტკიცონ ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც არის ამ დარგში. დღეს, ხუთწლედის მესამე წლის ფინიშზე, ჩვენი პრესის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს საბჭოთა ადამიანების მტკიცე ბრძოლა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სახურსათო პროგრამის, გეგმების და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. საჭიროა ნათლად, დამაჯერებლად გავაშუქოთ რიტმული, მთელი უკუგებით მუშაობის უნარი, ვუჩვენოთ ის კოლექტივები, რომელთა სიტყვა და საქმე ერთია, გამოვავლინოთ, თუ რა გზით აღწევენ ისინი წარმატებას, წამოვწიოთ ჩამორჩენილები.

პარტიულმა კომიტეტებმა კვლავაც მთელი სისრულით უნდა გამოიყენონ პრესის ორგანიზატორული, აღმზრდელობითი როლი, ხარედაქციო კოლეგიების ყურადღება მიაპყრონ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობის ძირეულ საკითხთა გაშუქებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მუშაობას, რომლის მიზანია სოციალისტური შრომის დისციპლინის, წარმოებაში წესრიგის განმტკიცება. ზოგიერთი გამოცემის პუბლიკაციები ამ თემაზე საუბრობენ წვრილმანთემიანობით, არარეგულარულად, უსისტემოდ ქვეყნდება. ერთი მხრივ, საჭიროა მკაფიოდ და ღრმად გავაშუქოთ საუკეთესოთა გამოცდილება, მივაღწიოთ, რომ ნოვატორული წამოწყებები მილიონების კუთვნილება ხდებოდეს, ხოლო, მეორე მხრივ — გადაჭრით გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებანი, ხელი შევუწყოთ მათს აღმოფხვრას.

გაზეთების გამოსვლების ქმედითობის გაძლიერების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია საუკეთესო გამოცდილებისადმი მიძღვნილი მასალების, აგრეთვე კრიტიკული გამოსვლების გამო პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოქვეყნება. აქ უნდა აღინიშნოს „სოვეტსკაია ბელორუსია“, „ურალსკი რაბოჩი“ (სვერდლოვსკი), „სოციალისტიჩესკი დონბასი“, მაგრამ სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველთვის და ყველგან არსებითად როდი უპასუხებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოსვლებს, ხშირად ისინი ფორმალურ პასუხს სჯერდებიან. ახეთ შემთხვევაში მკითხველს ებადება ეჭვი, რომ გაზეთმა ვერ პოვა მხარდაჭერა. ეს გულს უცრუებს ადამიანებს. და აქ ზოგჯერ საჭიროა პარტიული კომიტეტის ენერგიული ჩარევა. გამოქვეყნებული სიგნალებისადმი პატივისცემის ხულისკვეთებით კადრების აღზრდა პარტიული ორგანოების დიდმნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი დახმარებაა პრესისადმი.

გაზეთების შინაარსისა და გაფორმების გაუმჯობესებისადმი პარტიული კომიტეტების მოთხოვნათა გაძლიერება ითვალისწინებს ჟურნალისტთა კადრების სწორ განაწილებას, მათ აღზრდას ახლის აქტიურ, გაბედულ მზვერავებად, უდრეკ პოლიტიკურ მებრძოლებად, ხარედაქციო კოლეგიების რეგულარულ ინფორმირებას, გაზეთის რედაქტორისადმი მუდმივ დახმარებას. პარტიული კომიტეტი არ უნდა იყოს გულგრილი რედაქტორის სურვილისადმი მხარი დაუჭიროს ბეჯდვითი ორგანოს მებრძოლურ, შემტევ ხასიათს. დაგმობილია სამეურნეო დავალებათა შესრულებისათვის საკუთარი მოვალეობისაგან რედაქტორის დიდი ზნით მოცდენის პრაქტიკა.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი პრესისადმი ხელმძღვანელობას ზოგჯერ მხოლოდ კონტროლით ფარგლავს. რა თქმა უნდა, კონტროლი საჭიროა. მაგრამ მას საერთო არა აქვს რა ჟურნალისტების ოპერატიულ მუშაობაში ჩარევასთან, სხვადასხვაგვარ უსაფუძვლო შენიშვნებთან, წვრილმანებზე „ჩიჩინთან“, მთელი გამოხაჭვეულებელი მასალების შეთანხმებასთან. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც მუდმივ ინტერესს იჩენენ სარედაქციო ფოსტის შინაარსისადმი. მკითხველთა აზრები, გამოხმაურებანი ინფორმაციისა და ახალი თემების კარგი წყაროა. ადგილებიდან მუშა და სოფლის კორესპონდენტების სიგნალები გაზეთებს საინტერესოს და ცხოვრებისეულს ხდის. კვლავაც უნდა განვავითაროთ მასობრივი მუშახელკორული მოძრაობის ტრადიციები, ყურადღებით მოვეკიდოთ მკითხველის წერილს. წერილზე დაყრდნობა სარედაქციო კოლეგიტივის მაღალი პროფესიული კულტურის ნიშანი, ბეჯდვითი ორგანოს შინაარსის გამდიდრების ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დღეს პარტიული პროპაგანდის შედეგიანობას, საქმის ვითარებას იდეოლოგიური ფრონტის სხვა უბნებზე. პარტიის მუდმივი ზრუნვა და მხარდაჭერა არის სწორედ საბჭოთა პრესის ძალა, შთამაგონებელი სტიმული შემოქმედებისათვის, ჟურნალისტური საქმის ყველა მხარის თვისებრივი სრულყოფისათვის. ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით პარტიული კომიტეტები დაუღალავად უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ გაზეთი — ცენტრალურით დაწყებული და მრავალტირაჟიანით დამთავრებული — მებრძოლურად, აქტიურად გვევლინებოდეს კოლექტიურ პროპაგანდისტად, მასების აგიტატორად და ორგანიზატორად პარტიის სოციალურ-ეკონომიკური გეგმების განხორციელებაში.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მორიგ სხდომაზე მოიწონა და მთლიანად დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგების დაწყებასთან დაკავშირებით. როგორც პოლიტბიუროს სხდომაზე აღინიშნა, ამ განცხადებაში კონცენტრირებულია მთელი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ნება, მათი მტკიცე გადაწყვეტილება საკადრისი პასუხი გასცეს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციისა და ნატოს ბლოკის ავანტიურისტულ მილიტარისტულ პოლიტიკას, საიმედოდ დაიცვან ჩვენი ქვეყანა და მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროება. საბჭოთა კავშირის საპასუხო ღონისძიებები ყოველად აუცილებელია საბჭადრო წონასწორობის უზრუნველსაყოფად, რომლის დარღვევასაც ცდილობს ამერიკის იმპერიალიზმი. ამავე დროს საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება. იგი იყო და არის გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით, სრული აღკვეთის პრინციპული კურსის მომხრე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა იმ სახსრების გამოყენების საკითხი, რომლებიც მშრომელებმა გამოიმუშავეს 1983 წლის 15 ოქტომბრის შაბათობაზე. მოწონებულია წინადადება მოხმარდეს ეს სახსრები სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის განვითარებას. დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა მიერ გამომუშავებული სახსრები ძირითადად განკუთვნილია 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გაბარჯვების ძეგლის ასაგებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს იმსჯელა ქვეყანაში ტყის გამოყენების გაუმჯობესებისა და სატყეო კომპლექსის განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და პერსპექტივის ძირითად მიმართულებათა შესახებ. როგორც ამ საკითხის განხილვისას აღინიშნა, ტყე ეროვნული სიმდიდრის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ეფექტიანად უნდა გამოიყენებოდეს სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. მაგრამ უზარმაზარი ტყის რესურსების არსებობის პირობებში მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება ტყის პროდუქციაზე სრულად ვერ კმაყოფილდება. ხალხის ნებაა, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ვერ უზრუნველყოფენ დაწესებული საგეგმო დავალებების სისტემატურ შესრულებას. ამ უწყებებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობაში ნაკლებად იგრძნობა ორგანიზება, ერთიანი მიდგომა სატყეო საქმის წარმოებისადმი, არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება ხე-ტყის დამზადებისა და ტყის აღდგენის სიმძლავრეთა განვითარებას, სამეშაოთა კომპლექსური მექანიზაციას, ხე-ტყის გადასაზიდი გზების გაყვანას, ტყის დაბების მოწყობას. ნელა მიმდინარეობს მეშაობა ტყის პროდუქციის წარმოების სტრუქტურის სრულყოფის, გამოშვების ზრდის, ხე-ტყის გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, დიდია ხე-ტყის დამზადებისა და ხის დამუშავების ნარჩენები. ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს არსებული ტყის რესურსების უფრო სრულ გამოყენებას. შეასუსტეს ყურადღება ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობებს, სატყეო მეურნეობებს, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის საწარმოთა მუშაობისადმი, არ ახორციელებენ ღონისძიებებს კომპლექსურ მეურნეობათა ფართო ქსელის შესაქმნელად.

იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყის რესურსების ეფექტიან გამოყენებას ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის, პოლიტბიუროს საჭიროდ ცნო გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საკითხზე დადგენილების მოსამზადებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ მოიწონა იმ საუბრების შედეგები, რომლებიც ნ. ა. ტიხონოვს ჰქონდა ფრანგ მეწარმეთა ეროვნული საბჭოს დელეგაციასთან, საფრანგეთის საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის მინისტრთან ე. კრესონთან, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრთან ო. ლამბსდორფთან. სხდომამ მოისმინა და მოიწონა ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია ერაყის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტ. აზიზთან მოლაპარაკების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მოიწონა კ. უ. ჩერნენკოსა და ბ. ნ. პონომარიოვის საუბარი ლიბანის კომპარტიის გენერალური მდივნის ჯ. ჰაუის მეთაურობით წარმოგზავნილ კომპარტიის დელეგაციასთან, აგრეთვე ინფორმაცია მოსკოვში 1983 წლის 9-10 ნოემბერს გამართული კომუნისტური და რეფორმიორ-დემოკრატიული პარტიების პრესის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ.

პოლიტბიუროს სხდომაზე განხილულ ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲛᲣᲥᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲘ

რაც ამ ქვეყანაზე ჩვენი სახელმწიფო — პირველი სოციალისტური სახელმწიფო შეიქმნა, მას შემდეგ გვედავებიან, გვემუქრებიან, გვებრძვიან, ათას ხვრელს პოულობენ ჩვენს მოსასაბოდ, მაგრამ ამაოდ. სამოქალაქო ომსა და დიდ სამამულო ომში ჩვენმა ხალხმა გმირულად დაიცვა სამშობლო, და არ არის მსოფლიოში ძალა, მისი მოსპობა რომ შეძლოს, და ეს იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო ხალხის ხორცი ხორცთაგანი, სისხლი სისხლთაგანია.

ათასი მზაკვრისა და გარეწრის ზრახვანი ჩაფუშულა ჩვენთან ბრძოლაში. რეიგანი ერთი მხრივ, მრგვალ მაგიდასთან გვიხმობს მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის და იმავდროულად ზურგსუკან ჩვენი სახლის ზღურბლთან, კაცობრიობის გამანადგურებელ იარაღს განალაგებს, რათა ბირთვული ომის კატასტროფა თავს დაგვატეხოს, ლახვარი ჩაგვეჭს.

განცხადება, რომელიც ი. ვ. ანდროპოვმა გააკეთა და გუშინ გამოქვეყნდა პრესაში, ბრძნული და დროული. იგი ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებასაც გამოხატავს და ჰუმანურობასაც. ჩვენ მხარს ვუჭერთ საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომელიც აღასრულებს საბჭოთა ხალხის ნებას, და ვიმეორებ. პოეტის სიტყვებს: „არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩაჭრის ოქტომბრის ალი“.

სერგი ᲫᲘᲚᲐᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ — ᲣᲓᲐᲠᲓᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ

მე კალატოზი კაცი ვარ. ჩემი პროფესია შენებაა, შემნია იმისა, რაც ადამიანებს სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს. ამ ზაფხულს მაღალმთიან სოფელ საყავრეში სკოლას ვაშენებდით. სოფლის გოგო-ბიჭები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, მშენებლობაზე გვეხმარებოდნენ, აინტერესებდათ როგორი იქნებოდა მათი სკოლა. მათი სიცილ-კისკისი და ჟრიამული ჩვენს მუშაობასაც საოცრად მსუბუქსა და სახალისოს ხდიდა.

მაღალი ხარაჩოებიდან დავყურებდი ბავშვებს და გულებში ვფიქრობდი, რა კარგია, რომ მათ არ იციან, რა არის ნგრევა და შიმშილი, რა მშვენიერი ბავშვობა აქვთ!

სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენს შვილებს მომავალშიც ასეთი უდარდელი ბავშვობა ჰქონდეთ, ხოლო ჩვენ — ყველა — მშვიდობიანი ალმშენებლობითი შრომის შესაძლებლობა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ღონეს ხმარობენ.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაც ხომ ქვეყნად მშვიდობის საქმეს ეხება. ჩვენს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო ტრესტის მშრომელები მხურვალედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის განცხადების მადლიერების გრძნობით აღვიქვამთ.

გ. ᲓᲣᲚᲐᲫᲔ,
სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო ტრესტის მე-10 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშა.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲝᲓᲐᲜ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ

ᲒᲣᲚᲛᲝᲛᲓᲒᲘᲜᲔᲚᲘ გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ევროპის კონტინენტზე „პერშინგებისა“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების აკნრაზეგასთან დაკავშირებით. ამ განცხადებით ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

თბილისის თეთრეულის გაერთიანება — საქსოვი ტრიკოტაჟის ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეა. იგი 88 დასახელების ქსოვილს უშვებს, მათ შორის ბევრს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს. ასორტიმენტის მრავალფეროვნების მიზნით შეიქმნა ხუთი დასახელების ახალი პროდუქცია ბამბისა და ხელოვნური აბრეშუმის ძაფისაგან. მომხმარებელი კმაყოფილია ფაბრიკის ნახელავით. საქსოვ საამქროში ორმოცდაათამდე კომკავშირელი მუშაობს, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მათ შორის ქების ღირსია მზია ღონღაძე. იგი ორი წელია, რაც 28-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოვიდა საამქროში და მუყაითი შრომით თავი გამოიჩინა, კოლექტივში ავტორიტეტით სარგებლობს და საგეგმო დავალებებსაც გადაჭარბებით ასრულებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲗᲐᲜ: საქსოვ საამქროში. მზია ღონღაძე;

Ჯ. ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ტექსტი და ფოტო.



ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲨᲔᲞᲐᲢᲐᲙᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ წელი მთავრდება. ახლა სოფლად კვლავ ენერგიული შრომაა გაჩაღებული ჭირნახულის უდანაკარგოდ აღებისა და დამინავებისათვის, პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებისა და, რაც მთავარია, წლევანდელ საგეგმო დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა უთუო შესრულებისათვის.

— **ᲬᲧᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ** რაიონის მშრომელებმა, — გვატყობინებს საქართველოს კომპარტიის წყლუკიძის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კვარაცხელია, — ყველაფერი იღონეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

თავი ისახელეს მემანდარეებმა, რომლებმაც 800 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 897 ტონა მარცვლეული, მეხილეებმა კი 2.319 ტონის ნაცვლად 3.515 ტონა ხილი. შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალება. წლის ბოლომდე დარჩენილ დროში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ყველა დავალება შესრულდება.

* * *

იბრძვიან რა სასურსათო პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის, **ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲜᲘᲡ** ზონის მშრომელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. გადაჭრებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის დავალება. ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 8.400 ტონისა, სახელმწიფოს მიეყიდა 8.845 ტონა ხილი. წარმატებით შესრულდა აგრეთვე საკავშირო ფონდში ხილის გაგზავნის დავალება. ნაცვლად 400 ტონისა, გაგზავნილია 680 ტონა ხარისხოვანი ხილი. დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. მარგალიტაძემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ცნობილაძემ და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. სახვაძემ.

საქართველოს კომპარტიის **ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ** რაიკომი და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო იტყობინებიან, რომ ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების საგეგმო 20.600 ჰექტარის ნაცვლად დაითესა 22.100 ჰექტარზე. წარმატებით მიმდინარეობს ვენახის მოვლის სამუშაოები. მომავალი წლის უხვ მოსავალს რაიონის მშრომელები ამთავითვე უყრიან მტკიცე საფუძველს.

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ რაიონმა 16 ნოემბრისათვის შეასრულა ყურძნის და ხილის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მოყიდვის საგეგმო დავალებები. სახელმწიფოს მიეყიდა 2.882 ტონა ყურძენი და 10.370 ტონა ხილი. დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ერქომაიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ცინცაძემ და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ლ. ლომთაძემ.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ რაიონის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოებრეალიზაციის საგეგმო დავალებანი ყველა ძირითადი სახეობის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს. მათ შორის ჩაისა — 115, მარცვლეულისა — 103, ხილისა — 106, ხორცისა — 102, რძისა — 103, კვერცხისა — 107 პროცენტით. პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. თოდუამ და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ გ. ცინარამუამ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა 24 ნოემბერს კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ბ. სრებრიჩი, რომელიც მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის საკითხები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სავაჭრო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა წარმატებით ვითარდება, ხაზგასმით ითქვა, რომ ყველა დარგში ხანგრძლივი თანამშრომლობის სამომავლო საფუძველია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დოკუმენტებში ფიქსირებული პრინციპები და მორიგებანი. მხარეებმა განცხადეს, რომ ესწრაფვიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს საერთაშორისო ვითარების სიმწვავის გამწვავების გამო, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში წამოყენებულ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციები

თუ დაადგინე, შესრულებაც შეამოწმე!

მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც აფხაზეთის, ისე მთლიანად საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ამ ქალაქის სამრეწველო ტემპსა და სტაბილურობაზეა დამოკიდებული ბევრი საწარმოს ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობა. მაგალითისათვის მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხანაც კმარა, რომელიც ტყვარჩელის ქვანახშირის კონცენტრატის მომხმარებელია.

ამ დღეებში გამართულმა ოცდამეოთხე საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ ნათლად გვიჩვენა, როგორც ქალაქის პარტიული ორგანიზაციის, ისე თითოეული, შრომითი კოლექტივის ავ-კარგი, მათი გადაუჭრელი პრობლემები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა, რომელიც გაკეთდა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. სალიამ და მოკამათეთა გამოსვლებშიც განსაკუთრებით ორი საკითხი გამოიკვეთა: მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება და კადრების დენადობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტი საანგარიშო პერიოდში მუშაობისას ხელმძღვანელობდა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, მომდინარე წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, წლეულს თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციებით. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და საპროგრამო დოკუმენტად არის მიჩნეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა სამჭოს 1980 წლის 27 მაისის ერთობლივი დადგენილება, რომელიც ქალაქ ტყვარჩელის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურ ღონისძიებებს ეხება.

ამ დადგენილებამ ხორცი რომ შეისხას, ამისათვის საჭიროა თითეული პარტიულ ორგანიზაციაში უთუოდ სრულდებოდეს მიღებული დადგენილებანი, შესრულების პროცესისა და ხარისხისადმი დაიწესონ მუდმივი კონტროლი. სამწუხაროდ, კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ზოგი პარტიული ორგანიზაცია, მისი კომუნისტები თავს არ იტკივებენ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებაზე ზრუნვით. ამიტომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა მეტად პრინციპული პოზიცია დაიკავა მათდამი. ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაშიც კომუნისტები მომთხოვნელნობი მიუდგნენ ამ საკითხს, რამაც კონკრეტული გამოხატულება პოვა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. ამ არჩევნებისას პირველადს ორგანიზაციებში შეიცვალა 18 მდივანი, პარტიულ კომიტეტებსა და პარტბიუროებში — ბევრი წევრი, რომელთა უმეტესობა ადარ აირჩიეს სწორედ იმიტომ, რომ საანგარიშო პერიოდში სუსტად, უინიციატივოდ იმუშავეს.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ წელს სპეციალურად განიხილა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების საკითხი. რა გაირკვა? ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ № 8 შახტის, სამშენებლო სამმართველოს „ტყვარჩელშახტმშენის“, მუშათა მომარაგების განყოფილების, სამრეწველო საწარმოთა, ქალაქის კავშირგაბმულობის კვანძის პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ტყვარჩელმა მეშახტეებმა და ქვანახშირმამდიდრებლებმა თავიანთი კონფერენციის გახსნის დღისათვის ამოიღეს 31 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი და აწარმოვეს 10 ათასი ტონა ქვანახშირის კონცენტრატი. ამ ხუთწლედის დასაწყისიდან დღემდე სასაქონლო პროდუქციის გეგმა შესრულებულია 102,4 პროცენტით, სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერებამ 104 პროცენტს მიაღწია. მაგრამ ისმის კითხვა: ამ საერთო წარმატებაში ყველა შრომითმა კოლექტივმა შეიტანა მაქსიმალური წვლილი? ყველა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ იღონა ყველაფერი, რომ განუხრელად შესრულებულიყო მიღებული დადგენილებანი, დაძლეულიყო სამეურნეო მოჯნები?

წლების მანძილზე ქრონიკულ ჩამორჩენას თავს ვერ აღწევს ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკა, სსრ კავშირის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის სახელობის შახტები. ასევე ჩამორჩება სამშენებლო სამმართველო „ტყვარჩელშახტმშენი“, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.

ხუთწლედის პირველი ორი წელი განსაკუთრებით უხეიროდ დაიწყო ცენტრალურმა მამდიდრებელმა ფაბრიკამ (დირექტორი — გ. ეფრემოვი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ლ. მიქავაბია), რომელიც უშვებს და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას უგზავნის საბოლოო პროდუქციის — ქვანახშირის კონცენტრატს. ფაბრიკამ მომდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმას დააკლო 20 ათას ტონაზე მეტი კონცენტრატი, რაც განსაკუთრებული შემთხვევაა საწარმოს ისტორიაში. მართალია, დღეისათვის დანაკლისის ნახევარი უკვე ანაზღაურებულია, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მანძილია მოწინავეთა მიჯნებამდე. ამიტომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ამაღლდეს კომუნისტების ავანგარდული როლი, დროზე და ხარისხიანად შესრულდეს მიღებული დადგენილებანი.

ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც დელეგატები საგანგებოდ შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში, კადრები, მათი აღზრდა და შენარჩუნებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო იყო ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პარტბიუროს მდივნის ო. ციკოლიას გამოსვლა, რომელმაც კადრების დენადობის კეთილოზული მაგალითები დასახელა.

1982 წელს ამ ელექტროსადგურში სამუშაოდ მივიდა 111 მუშა, სამუშაოდან კი წასული 116. არც 1983 წლის 10 თვის მაჩვენებლებია სანუგეშო: წავიდა 104, მოვიდა 106 მუშა. 1980 წლიდან დღემდე სამუშაოდან წავიდა 39 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, ამავე პერიოდში კი აქ მუშაობის სურვილი გამოთქვა მხოლოდ 8 ახალბედა სპეციალისტმა. საინტერესოა, საწარმოში ნაწილობრივ მაინც რომ შესრულებულიყო მიღებული დადგენილებანი, რომელიც მუშათა შრომის, საყოფაცხოვრებო, დასვენების პირობების, კულტმასობრივი მუშაობის მოგვარება-გაუმჯობესების ითვალისწინებდა, მაშინ იქნებოდა კი კადრების ასეთი განსაცვიფრებელი დენადობა?! რა თქმა უნდა, არა! და არც სამეურნეო საქმეებში ექნებოდათ ჩავარდნები. თუმცა აქ საჭიროა მცირე ექსკურსი: მართალია, ელექტროსადგური წლების განმავლობაში გეგმებს ასრულებს, მაგრამ ვერა და ვერ დაძლია საპროექტო სიმძლავრე. მწყობრში ჩამდგარი მეორე ელექტრობლოკი გეგმით გათვალისწინებული 50 მეგოვატის ნაცვლად მხოლოდ 8-10 მეგოვატს იძლევა. ამის გამო აქ მიმართავენ კორექტირების მავნე პრაქტიკას: წლეულს გეგმა შეუმცირდათ 124 მილიონი კილოვატსაათით, რაც 2 მილიონ 165 ათას მანეთ ზარალს უდრის.

გასაყვანი სამუშაოების საგეგმო დავალება ასევე ვერ შესრულა ნ. ლაკობის სახელობის შახტის კოლექტივმა. თავის დროზე კი ყველაფერი როდი იღონეს შახტის მთავარმა ინჟინერმა ი. ხაკომიამ და პარტორგანიზაციის მდივანმა ს. თარხმ, კომუნისტებმაც ვერ გამოიჩინეს საჭირო ინიციატივა და გერგილიანობა.

— პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან ბევრს მოითხოვენ და სამართლიანადაც, — თქვა „ტყვარჩელშახტის“ სამმართველოს უფროსმა კ. კიზირიამ, — სწორედ ადგილობრივმა ძირეულმა რგოლმა, მისმა კომუნისტებმა უნდა ვიზრუნოთ, რომ სრულდებოდეს ყოველი დადგენილება, მაღლდებოდეს მაღაროელის პრესტიჟი. აქ განსაკუთრებით დიდი როლი უნდა შეასრულონ ბრიგადირებმა, უბნის უფროსებმა, სამთო ოსტატებმა, ინჟინრებმა.

ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ავ-კარგი, მისი წარმატების მიზეზები თუ ხარვეზები, მომავლის გეგმების შესრულების შესაძლებლობანი სრულყოფილად აისახა კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ო. კობახიამ და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. შ. ციციშვილმა.

ახალარჩეულ პარტიის საქალაქო კომიტეტს მომავალ საანგარიშო პერიოდში უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის კონკრეტული განაწესი მიეცა.

ი. გობეჩია.
ჯ. მეხრიშვილი.

დიდი მშენებელი

პრიან ადამიანები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია ქვეყნისა და ერის წინაშე, რაც დრო გადის, მათი სიქმენი მეტ ცხოველმყოფელობას იძენს, ამიტომაც თაობები ასეთ ადამიანთა სახელებს ანთებული კელაპტარივით უფრთხილდებიან. კაცი, რომელზეც მინდა მოგითხროთ, იმ პიროვნებათაგანია, რომელმაც თავისი ღრმა ნიჭიერებითა და ერუდიციით საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ასეთი გახლდათ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სამი ლენინის, ოთხი შრომის წითელი დროშის, საბრძოლო წითელი დროშისა და კუტუზოვის ორდენების კავალერი ილარიონ დავითის ძე გოცირიძე. თავისი ცხოვრების ადრეულ ხანაში იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით 1918 წელს, გახდა თუ არა კომუნისტური პარტიის წევრი, სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი მაზრის კომკავშირის კომიტეტს.

ი. გოცირიძემ 1928 წელს დამთავრა მოსკოვის საინჟინრო-სატრანსპორტო ინსტიტუტი და მუშაობას შეუდგა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. სწორედ აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც ინჟინერი და კვალიფიციური სპეციალისტი გახდა. საქმის ღრმა ცოდნამ, შრომისადმი თავდადებამ განაპირობა ის, რომ ი. გოცირიძე ჩვენს ქვეყანაში პირველი, მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობის უფროსად დაწინაურეს. ჩვენი თანამემამულის უშუალო ხელმძღვანელობით მეტრომშენებლებმა ააგეს მოსკოვის მეტროს ტექნიკურად სრულყოფილი და არქიტექტურულად მიმზიდველი ისეთი სადგურები, როგორიებიც გახლავთ „მაიაკოვსკის“, „ლერმონტოვის“ და სხვები, რომლებიც მთელ მსოფლიოში საუკეთესო მიწისქვეშა სადგურებად ითვლებიან.

1940-41 წლებში ი. გოცირიძე, როგორც უკვე სახელმოხვეჭილი მშენებელი, გადაიყვანეს ჯერ რკინიგზის სამინისტროს „მთავარრკინიგზისშენის“ უფროსად, ხოლო შემდეგ გზათა სამინისტროს მშენებლობის უფროსად. სულ მალე კი თავჯსაჩინო სპეციალისტს მეტად პასუხსაგები სამუშაო ჩააბარეს — ი. გოცირიძე დაინიშნა სსრ კავშირის გზათა მინისტრის პირველ მოადგილედ.

ომამდე წლის შემდეგ ი. გოცირიძე კვლავ დაუწინაურეს და საკავშირო სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნეს. ამ თანამდებობაზე ყოფნისას იგი დიდ სამუშაოებს ასრულებდა. საკავშირო რკინიგზის მშენებლობის დარგში. მას ექვემდებარებოდა აგრეთვე მიწისქვეშა ტრანსპორტი, საბჭოთა კავშირის მთელი მეტროპოლიტენები.

ქართველ სპეციალისტს, ნამდვილ მოქალაქეს და გულისხმიერ ხელმძღვანელს დიდი დამსახურება მიუძღვის მშობლიური რესპუბლიკის წინაშე, მან დიდი როლი შეასრულა თბილისში მიწისქვეშა ტრანსპორტის — მეტროპოლიტენის მშენებლობის დამტკიცების საქმეში.

გაკეთდა საშური საქმე — დღეს თბილისი ვერავის წარმოუდგენია უმეტროპოლიტენოდ. იგი თბილისელების ყველაზე საყვარელი სატრანსპორტო საშუალებაა.

სახელოვნი თანამემამულე თბილისის მეტრომშენებლებს დიდ დახმარებას უწევდა. იყო შემთხვევა, როცა უნდოდათ თბილისის მეტროპოლიტენის მიმდინარე მშენებლობის დროებით შეჩერება და დაკონსერვება, მაგრამ ამ სიძნელის გადალახვა კვლავ ი. გოცირიძის დახმარებით მოხერხდა. მშენებლობა გაგრძელდა და იგი დღესაც მიმდინარეობს.

წლეულს ზეიმით აღვნიშნეთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. თვალსაჩინო ქართველი სპეციალისტის მოღვაწეობა მოსკოვში კიდევ ერთი დასტურია ქართველი და რუსი ხალხების ძმური მეგობრობისა.

ილარიონ გოცირიძე გახლდათ უაღრესად დიდი მშენებელი კავშირის მასშტაბით. იგი ჩემს მეხსიერებაში ცოცხლდება როგორც შესანიშნავი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, ხელმძღვანელი ორგანოებისა და სათანადო ყურადღებით მოეკიდებიან სპეციალური მეურნეობის, კოლმეურნეობებში ბრიგადების ჩამოყალიბებას.

გ. დათუაშვილი.
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

22 წლის წინათ მოვიდა ტარიელ კიტოშვილი თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელ ქარხანაში და დაიწყო ფერადი ლითონების ჩამოსხმა. ჯერ კიდევ ოსტატობისას ყურადღებით უსმენდა გამოცდილ მუშაკებს. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ დამოუკიდებელი მუშაობის პირველი დღეებიდანვე საუცხოოდ ასრულებდა დავალებებს.

გადიოდა დრო, და აი, თანდათანობით ოსტატდებოდა, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას ტ. კიტოშვილი. მან აითვისა ჩამომსხმელისა და მეყალიბის მომჯანავე პროფესიები.

მიღებულმა ცოდნამ, შეძენილმა გამოცდილებამ შვა თამამი იდეა — მან გადაწყვიტა თვითონ წარემართა სადნობი ღუმელის ყველა პროცესი. სადნობ ღუმელს კი ხუთი სხვადასხვა პროფესიის მუშა ემსახურება. სცადა ტარიელმა და შედეგმაც არ დააყოვნა: ვარაუდი ზუსტი აღმოჩნდა, ახლა იგი სადნობი ღუმლის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია. ხუთჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ამჟამად ნოვატორის შრომითს კალენდარზე 1984 წლის ივნისია.

სურათზე: შრომის ვეტერანს, კომუნისტ ტარიელ კიტოშვილს (მარჯვნივ) რჩევისათვის მიაკითხა ახალგაზრდა ელექტროშენკალმა ზურაბ ლომოურმა.

ვ. ორგუნიშვილი ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაფავრცელოთ ევკალიპტი კოლხეთის დაჭაობებზე

ევთერზეთოვანი და სამკურნალწამლო მცენარეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტროპიკული და სუბტროპიკული წარმოების ავსტრალიურ ევკალიპტს. ევკალიპტი ეკუთვნის მირტისებრთა ოჯახს, რომელიც აერთიანებს 600-ზე მეტ სახეობა და სახესხვაობას. იგი მარადმწვანე, სწრაფმზარდი, სინათლის მოყვარული მცენარეა. კარგად ხარობს სხვადასხვა ტიპის ტენიან ნიადაგებზე. ვერ ეგუება დამლაშებულ ნიადაგსა და მშრალ ქვიშას. მრავლდება ძირითადად თესლით. ბუნებრივად იგი ავსტრალიაში ტასმანისა და ახალი გვინეის კუნძულებზეა გავრცელებული. საბჭოთა კავშირში გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკულ ზონაში, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლებში შემოიტანეს.

მრავალმხრივია ევკალიპტის გამოყენების სპექტრი სახალხო მეურნეობაში, როგორც ეგზოტიკური, სწრაფმზარდი მცენარე ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობასა და ქარსაცავ ზოლებში, მერქანსამშენებლო საქმეში, ხოლო მისი ფოთლებიდან მიღებული ჭვირფასი ეთეროვანი ზეთი — მედიცინაში, — პარფიუმერიასა და ტექნიკაში.

სამამულო მედიცინის პრაქტიკაში მეცნიერულად დასაბუთებულია ევკალიპტის ფოთლებისა და მისგან მიღებული ეთეროვანი ზეთის გამოყენება გრიპის, ყივანახველის, ასთმის, რევმატულ დაავადებათა, თირკმლის ქრონიკული ანთებისა და ტუბერკულოზის დროს, ქირურგიაში ჩირქოვან, ძნელად შესაბრალებელი ჭრილობის სამკურნალოდ, სადეზინფექციო საშუალებად და სხვა.

დიდია სახალხო მეურნეობაში ევკალიპტის ეთეროვან ზეთზე მოთხოვნილება, მაგრამ მის საწარმოებლად ამჟამად ევკალიპტის სამრეწველო პლანტაციები თითქმის არ გაგვაჩნია.

„ევკალიპტის კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის დადგენილების სარეალიზაციოდ უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს ეთეროვან მეურნეობებში შენდება ათობით ჰექტარი ევკალიპტის სამრეწველო პლანტაციები, რომელთა შემდგომი ექსპლოატაცია მათი ამონაყრებიდან უნდა განხორციელდეს.

ევკალიპტს აქვს ძვირფასი ბიოლოგიური თვისებები: შტამბის ზეიდაპირზე მოთავსებული აქვს ჭარბი რაოდენობის მძინარა კვირტები, რომლებსაც აქვთ უნარი რაიმე დაზიანებისა თუ მწვანე მასის ექსპლოატაციის (ტოტების შეკვლის, ან მკვნარის მოჩრის) შემდეგ კვლავ ჩადგნენ მწყობრში ამონაყრის სახით. რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლანტაციის ამონაყარი კულტურის სახით წარმოებისას.

ევკალიპტის ამონაყარი კულტურის არსი ის არის, რომ მკვნარის პირველი ადგილიდან შემდეგ მიღებული ამონაყრები ყოველწლიურად იჩრება ნედლეულის დამზადების მიზნით. ახალგაზრდა ფოთლიდან ეთერზეთის გამოსავალი საგრძნობლად მეტია (1,5-2-ჯერ), მოსავალი მიიღება დარგვიდან ორი წლის შემდეგ.

კოლხეთის დაბლობის ნიადაგურ-კლიმატური პირობები მთლიანად შეესაბამება ევკალიპტის ამონაყარი კულტურის წესით მოყვანას და იგი ამ ზონისათვის მეტად პერსპექტიულია, მაგრამ, საუბედუროდ, კოლხეთის ზონის ეთერზეთოვან მეურნეობებში ევკალიპტის ამონაყარ კულტურას დღემდე არ აწარმოებენ.

შემდგომში მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ, რომელიც ევკალიპტის სარგავი მასალის გამოყვანაზეა სპეციალიზებული, თავისი ასორტიმენტიდან ამოიღოს დაბალი ყინვაგამძლე და მცირე ზეთოვანი კამალდონის ჯიშის ნერგების წარმოება და ეთეროვანთა მეურნეობებს მიაწოდოს კოლხეთის პირობებს შეგუებული და ამასთან მაღალზეთოვანი ლეგა და ტირიფისებრი ევკალიპტის სტანდარტული ნერგები, რისთვისაც თესლის შეგროვება და დამზადება უნდა ხდებოდეს კოლხეთის დაბლობის პირობებში არსებული და აკლიმატიზებული ზემოთ მითითებული სახეობის ნარგაობებიდან.

ევკალიპტის პლანტაციები უნდა გაშენდეს აგრომელიორაციული ფონზე — ფართო პროფილირებულ ზოლებზე (კვლებზე), რომელთა სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 25-30 მეტრს, ამის შესაბამისად უნდა იქნეს დაცული ყველა ის აგროტექნიკური ღონისძიება, რომლებიც გათვალისწინებულია აგროწესებით ევკალიპტის ამონაყარი კულტურისათვის. აღნიშნული წესით ევკალიპტის სამრეწველო პლანტაციების გაშენების დროს მცენარეები უნდა დაირგას მწკრივებში 0,5 მეტრი, ხოლო მწკრივთაშორის 2,5 მეტრი დაშორებით (ჰექტარზე თავსდება 8000 ძირი ნერგი).

მაღალი აგროტექნიკის პირობებში ჰექტარ ევკალიპტის ამონაყარ კულტურას შეუძლია ყოველწლიურად მოგვცეს 15 ტონამდე კონდიციური მწვანე მასა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ტონა მწვანე მასის შესასყიდი ფასი 300 მანეთია, მაშინ ერთ ჰექტარ პლანტაციას შეუძლია მეურნეობას მისცეს 4500 მანეთის პროდუქცია, ხოლო ერთ ჰექტარ პლანტაციაზე გაწეული ყოველწლიური ხარჯები შეადგენს 1000 მანეთს. ესე იგი ყოველი ჰექტარი პლანტაცია იძლევა 3.500 მანეთ წმინდა შემოსავალს, ხოლო 100 ჰექტარი პლანტაციიდან მეურნეობა მიიღებს 350,0 ათას მანეთ მოგებას.

გ. კვიცინაძე.
ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლხეთის ფილიალის დირექტორი;

ვ. გოგუაძე.
ფილიალის მეცნიერი თანამშრომელი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადის, კომუნისტ თ. სპანდერაშვილის წერილმა „მუშური სინდისის კარნახით“, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, მე, როგორც მეშახტეთა დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ძალიან დამაფიქრა. ეს ბუნებრივიც არის. ისევე, როგორც თ. სპანდერაშვილისათვის მეტალურგიული ქარხანა, ჩემთვის შახტი მშობლიური საწარმოა, ნამდვილი საგვარეულო სარბიელია.

ჩემმა ბაბუამ ევსები სოფრომაძემ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს „დასავლეთის“ შახტში სამ ათეულ წელზე მეტი იმუშავა, მამამ სერგომ ამავე შახტში 33 წელი დაჰყო და ყოველთვის სანიმუშო იყო. მის მკერდს მთავრობის არაერთი საპატიო ჯილდო ამშვენებდა. ამჟამად შახტში მე და უმცროსი ძმა ოთარი ვმუშაობთ. იგი გამყვანია, მე კი 18 წელია ქვანახშირს ვანგრევ. ერთი სიტყვით, მე სისხლხორცეულად ვარ დაკავშირებული მიწისქვეშა სანგრევთან, მშობლიურ შახტთან. ამიტომ არის, რომ, სადაც უნდა ვიყო, ვგრძნობ საწარმოს სუნთქვას, მისი წარმატება მიხარია, ხოლო მის ტკივილს ისე განვიცდი, როგორც საკუთარს.

აი, ახლაც ტკბილად მაგონდება 70-იანი წლები, როცა მთელ რესპუბლიკაში ბუზდა „დასავლეთის“ შახტის სახელი. ყოველ წელს ბევრი სასიკეთო სიახლე ჩემი შახტის სანგრევებიდან იღებდა სათავეს. სოციალისტი მოვიგონოთ ჰიდრავლიკური ვსების წესით ქვანახშირის მოპოვების პროგრესული მეთოდის შემუშავება, რომელიც სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის ბევრ შახტში დაინერგა. მაგრამ ეს მდგომარეობა 1977 წლამდე გაგრძელდა. აქედან მოყოლებული შობლიური შახტს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მსგავსად, ძმიმე დღეები დაუდგა, ვეღარ ვასრულებთ ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმას. მარტო მიმდინარე წლის რვა თვეში ქვეყანას 32 ათას ტონამდე საკოქსე ქვანახშირი დავაკელით. ჩვენი ჩამორჩენით, სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევით კიდევ უფრო გავურთულეთ რუსთაველ მეტალურგებს ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა. 12 მანეთით გავაძვირეთ ტონა ქვანახშირი, რითაც სახელმწიფოს 846 ათას მანეთამდე ზარალი მივაყენეთ. ეს სათქმელადაც კი მეტად ძნელია.

შახტის ჩავარდნას ბევრი ობიექტური მიზეზი განაპირობებს. საქმე ის არის, რომ გართულდა სამთო-გეოლოგიური პირობები, საექსპლოატაციო სამუშაოების ღრმა ჰორიზონტებზე გადატანასთან დაკავშირებით თავი იჩინა უჩვეულო წნევამ, რამაც გააძნელა სანგრევის ჭერის მართვა და მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირება, ამას დაემატა მეთანის გაზის ინტენსიური გამოყოფა და წყლის მოდენის საგრძნობი მატება, რამაც მეშახტეებს გარკვეული, დამატებითი სიძნელეები შეუქმნა.

ასეთი სიძნელეები ჩვენთვის, მეშახტეებისათვის, უცხო როდია, ისინი არის და ვიცით, რომ მომავალშიც ბლომად იქნება. მაგრამ მათ ხომ დაძლევა უნდა ყოველ შემთხვევაში, რის გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია, ის ხომ უნდა გავაკეთოთ? მოდით, ვიყოთ გულახდილნი, ყველამ საკუთარ გულში ჩავიხედოთ, განა ყველაფერს ვღონობთ ჩამორჩენის დასაძლევად, მშობლიური შახტის ძველი დიდების აღსადგენად? რა თქმა უნდა, არა!

დიდი ხანია დაიწყო ლაპარაკი შახტის ტექნიკური განახლების აუცილებლობაზე. ზოგიერთი რამ კიდევაც გაკეთდა სანგრევების ახალი ტექნიკით აღჭურვის მიზნით, მაგრამ ტექნიკური პროგრესის ბევრი პრობლემა ძალიან ნელა გვარდება. წინათ, როცა ქვანახშირის ფენას დამრეცი მიმართულება ჰქონდა, მონგრეული ნახშირი სატვირთავ პუნქტამდე თვითგორვით გადაადგილდებოდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ღრმა სამთო ველებში ქვანახშირის ფენამ, მიიღო რა ჰორიზონტალური მიმართულება, მონგრეული ქვანახშირი თვითგორვით ალარ მიდის. საწმენდი სანგრევის მუშა იძულებულია ქვანახშირი ხელით, შამპაპაუჩინიჩებით და თოხით გადააადგილოს. ეს კი დიდ დროსა და დიდძალი ფიზიკური შრომის დახარჯვას მოითხოვს. ამიტომ პირველ საექსპლოატაციო უბანში, სადაც მე ვმუშაობ, მონგრეული ქვანახშირის გადასაადგილებლად ვიყენებთ წყლის მძლავრ ნაკადს, რაც აიოლებს შრომას, მაგრამ წყლის გამოყენებას აქვს უარყოფითი მხარე. იგი აუარესებს სამუშაოს ხარისხს, რისთვისაც მოგმსმარებელი დიდძალ ჯარიმას გვაჩდევენებს. მიმდინარე წლის განვლილ რვა თვეში მაგალითად, ქვანახშირის მამდიდრებელმა ფაბრიკამ, ნესტიანი პროდუქციის მოწოდებისათვის, საკმაოდ სოლიდური ჯარიმა გადაგვახდევინა. გარდა ამისა, წყლის ინტენსიური მოდენა აწევევს საზიდი გვირაბის დეფორმირებას, მის დატალახიანებას, საშახტო გზების დაზიანებას.

ჩვენს მეზობელ, მესამე საექსპლოატაციო უბანში მონგრეული ქვანახშირის გამოტანა უკეთ მოაწყვეს. იქ კარგი ხანია, რაც დაინერგა ნახშირის მოსახვეტი დანადგარი. შახტისა და უბნის ადმინისტრაციას რომ მეტი მონდომება გამოეჩინა, განა ჩვენს სანგრევებში არ შეიძლება აყენებ დანადგარის დამონტაჟება? რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ამაზე არავინ იფიქრა, ჯერჯერობით ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა.

დღეს წარმოუდგენელია დიდი წარმატების მოპოვება უტექნიკოდ, საერთოდ, და, კერძოდ, შახტში. ამ მხრივ საქმე არადამაკმაყოფილებელია. ბოლო დროს არაერთი ტექნიკური სიახლის დანერგვა სცადეს, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. მეზობელ, მეორე უბანში, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ შეიტანეს ქვანახშირის მოსანგრევი კომბაინი, მაგრამ ეფექტს ვერ მიაღწიეს. საშველი არც ინდივიდუალური ჰიდროფიცირებული კომბაინის ამუშავებს დაადგა.

-რატომ ვერ მოიკიდა ფეხი სიახლემ?

ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ შახტის დირექციამ და „საქნახშირის“ გაერთიანების ხელმძღვანელებმა არ იზრუნეს საჭირო კადრების მომზადებისათვის, უადამიანოდ კი ტექნიკა მკვდარია.

ჩვენ, მეშახტეები, ჯერ კიდევ ვხმაროობთ მოსანგრევ პნევმოჩაქუჩებს. მაგრამ სამ თვეზე მეტია, რაც ყველა ჩაქუჩი უქმად დგას. საქმე ის არის, რომ ოთხივე დაძველებული კომპრესორი მწყობრიდან გამოვიდა და შეკეთებული ჰაერის გამომუშავება შეწყდა. ძველი კომპრესორების ახლით შეცვლის საკითხი დიდი ხანია დღის წესრიგში დგას, მაგრამ ქმედითი ღონისძიება არავინ განახორციელა.

წარმოების ერთ-ერთი „ვიწრო ადგილია“ სავაგონო პარკის მოუქნელი მუშაობა. მის განკარგულებაში არსებულ საშახტო ვაგონებს აკლია მზრუნველი ხელი, თავის დროზე არ ხდება მათი შეკეთება. სარემონტო საამქრო არ არის დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური ზეინკლებით, აქ კარგ ნაყოფს გამოიღებდა ორცვლიან სამუშაოზე გადასვლა, მაგრამ ამაზე თავს არავინ იწუხებს.

ასეთი ხელშემშლელი მიზეზები ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ახლა მთავარია ამ მიზეზების აღმოფხვრა. ყველა სატკივარს დროული მკურნალობა უნდა, შესაფერისი წამლის გამოძებნა სჭირდება.

კაცმა სამართლე უნდა თქვას: ჩვენს შახტში ასეთი საგანგაშო მდგომარეობა არ შეიქმნებოდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ხელშემშლელ მიზეზებს ჩვენი ცუდი მუშაობიდან გამომდინარე სუბიექტური მიზეზებიც არ დამატებოდა.

მე, პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენ, კომუნისტებმა, როგორც ჩანს, თვითდინებაზე მივუშვით საქმე, შევგნელეთ სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლი, ბევრს ვლაპარაკობთ, და ცოტას ვაკეთებთ. ეს რომ ასე არ იყოს, ისეთ შრომითს კოლექტივს, რომლის ყოველი მესამე წევრი კომუნისტია, აბა წინ რა დაუდგება? ბოლო ექვსი წლის მანძილზე შახტის საუბნო პარტიულ ორგანიზაციებში შესუსტდა დისციპლინა. კრებებზე კარგ დადგენილებებს ვიღებთ, მაგრამ მათი შესრულებისათვის ცოტას ვზრუნავთ.

კომუნისტების მიერ უდისციპლინობის გამოვლინების მრავალი მაგალითის მოყვანა შემიძლია. აი ერთი ახალი მაგალითი; მომდინარე წლის 2 სექტემბერს მორიგობის უბანში გიამორთა საუბნო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. კრების მსვლელობის დროს მრავალი შენიშვნა გამოთქვეს კომუნისტებმა უბნის ხელმძღვანელის მისამართით; კარგი იყო, ეს თვით მოესმინა უბნის უფროსს მ. ლილუაშვილს, მაგრამ მან რატომღაც თავი აარიდა კრებაზე დასწრებას.

უდისციპლინობის კიდევ უფრო საგანგაშო ფაქტი გახმეორდა შახტის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. კომუნისტებს ბევრი ჰქონდათ სასაყვედურო შახტის მესვეურებისადმი, რომელთა მოუქნელი მუშაობის გამო საწარმომ დათმო მოწინავე პოზიციები და მაჩანჩალის როლში აღმოჩნდა, მაგრამ ამ კრებას არც ერთი ხელმძღვანელი არ დაესწრო.

ვერც კომუნისტები ვართ მოწოდების სიმაღლეზე. სამწუხაროა, რომ რატომღაც ველოლიავებით, ვერიდებით შრომის დისციპლინის დამრღვევებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ფუშავენ სახელმწიფო გეგმის შესრულებას. პარადოქსია, მაგრ

აიმაღლეს კვალიფიკაცია

საქართველოს კომპარტიის სენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დაამთავრეს სწავლა მეორე ნაკადის მსმენელებმა — სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა — საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებმა, რესპუბლიკის მრეწველობის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ცენტრის მსმენელები ორი თვის მანძილზე სწავლობდნენ კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის და მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, პარტიის ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესაბამისად.

მეცადინეობაზე დიდი ყურადღება დაეთმო თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის პრობლემებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უაჩქარებლი, მოწინავე გამოცდილების დანერგვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საკითხებს. სასწავლო პროგრამაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საბჭოთა მშენებლობის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს.

მეცადინეობის დროს შეეხნენ მართვისა და დაგეგმვის თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებს, ავტომატიზებული სისტემების, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების შექმნისა და მართვაში გამოყენების გამოცდილებას, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქმიან თამაშებს.

მსმენელთა მიერ წარმოდგენილმა ბევრმა სადიპლომო ნაშუშევარმა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბევრ მათგანს მიეცა შემდგომი დანერგვის რეკომენდაცია.

მსმენელებს შეხვდნენ და ესაუბრნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების გამგე ლ. ი. ხაბურზანია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგე ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ღურწკაია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ო. გ. კაკაურიძე და ი. ს. ჟორდანია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სექტორის გამგე ფ. ა. კალანდარიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილებათა გამგეები: საგეგმო-საფინანსო ორგანოებისა — ლ. ს. კობაბიძე, ენერგეტიკის და მძიმე მრეწველობისა — ო. ნ. სულაძე, სხვა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

ქვეყნის მთავარ გამოფენაზე

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტის ექსპოზიცია

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება და სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროსთვის შემოქმედებითი კადრების მომზადება — ასეთი ამოცანა დაუსახია უმაღლეს სკოლას სკკპ XXVI კრებამდე. იმას, თუ როგორ წყვეტს ამ ამოცანას უმაღლესი სკოლა, გვაცნობს „გამოფენა „უნივერსიტეტები ქვეყნის წამყვანი სასწავლო-მეთოდიკური და სამეცნიერო ცენტრებია“, რომელიც გაიხსნა მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ექსპოზიცია დამთვალიერებლებს აცნობს საბჭოთა კავშირის ორმოცდაოთხი მთავარი უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობას.

მკაფიო, საინტერესო ექსპოზიციით არის წარმოდგენილი გამოფენაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მასში ასახულია, თუ რა დიდი მრავალპლანიანი მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკის მთავარ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც 1918 წელს დაარსდა და საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი გახდა. მის 23 ფაკულტეტზე ახლა 15 ათასი სტუდენტი სწავლობს.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წელს კანონზომიერია გაზრდილი ინტერესი რესპუბლიკაში საქართველოს ინტერნაციონალური ურთიერთობისადმი. და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის სტუდენტებს შორის ოცი ეროვნების წარმომადგენლები არიან, დიდ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით. ინტერნაციონალური ურთიერთობის განვითარების ისტორია და, კერძოდ, რუსეთის როლი ქართული მეცნიერების ჩამოყალიბებაში, მკაფიოდ არის ასახული ექსპოზიციაში. მაგალითად, მრავალი სამეცნიერო ნაშუშევარი შესრულებულია ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამეგობრობით. გამოფენის ექსპოზიციას რომ ეცნობი, გესმის, თუ რა დიდია თბილისელ სტუდენტთა ინტერესი რუსი ხალხის ისტორიის, მისი კულტურისადმი. უნივერსიტეტში არის ორი რუსული ენის კათედრა, რომლებიც მუშაობენ რუსეთის ძველი და თანამედროვე ენის პრობლემებზე. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შექმნილი სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების, ლიტერატურული კავშირურთიერთობისა და მხატვრული თარგმანის კათედრა ასევე ხელს უწყობს სტუდენტთა ინტერნაციონალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას იმით, რომ სწავლობენ სხვა ხალხთა ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობას, ქართულ ენაზე თარგმნიან სხვადასხვა ენოვანი მწერლების ნაწარმოებებს, ისინი არა მარტო აფასებენ თავიანთ თვალსაწიერს, არამედ უნერგავენ პატივისცემას მომძღვარ ხალხს, მისი კულტურისადმი. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი უნივერსიტეტში დასტამბული ამ დარგის გამოცემები გვიჩვენებს ქართველ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა მომზადების მაღალ დონეს.

უნივერსიტეტის ცხოვრების მთავარ მიმართულებებს გვაცნობენ ფერადი ალბომები. ერთი მათგანი გვიჩვენებს წარმოდგენასთან სწავლის მჭიდრო კავშირს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი მიძღვნილი ალბომი აშუქებს აქ ჩამოყალიბებული სამეცნიერო კოლექტივების საქმიანობის შედეგებს. მის მასშტაბს გვიჩვენებს უნივერსიტეტის ფაკულტეტების კათედრებსა და სამეცნიერო-კვლევითს ცენტრებში შექმნილი ხელსაწყოები. უნივერსიტეტის ნამუშევრების სახალხო მეურნეობაში დანერგვისგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი 10 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

უნივერსიტეტის მეცნიერები იკვლევენ თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგს. რადიოტექნიკის კათედრამ წარმოადგინა ელექტრომაგნიტური ველის დანადგარი, რომელსაც იყენებენ სოფლის მეურნეობაში მინერალური სასუქების შეტანისათვის. ფიზიკოსებმა წარმოადგინეს მინის კაპილარების გასაჭიმი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება როგორც ელექტროდი თავის ტვინის ბიოდენების შესწავლისათვის. ქიმიკოსებმა შექმნეს განსაკუთრებული არატოქსიკური ნივთიერება, რომელსაც ორგანიზმში შეყვანილი სამედიცინო ელექტროლესწყვილის ჰერმეტიზაციის უნარი შესწევს, ყოველივე ეს იმ მეცნიერული მიღწევების ნაწილია, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიზნით უნივერსიტეტში ყოველ ღონეს ხმარობენ ამისათვის, რომ შემდგომში სრულყონ სტუდენტებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისადმი დაქვემდებარებული არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სისტემა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც შეიქმნა საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტი. ექსპოზიციაში ამ საკითხს დაეთმო ცალკე განყოფილება. ფაკულტეტის ამოცანაა მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციაში ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების შეძენა, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება. გამოფენა გვაცნობს შრომითს სემესტრებში სტუდენტთა პარტიული ჯგუფების საქმიანობას, ინტერნაციონალური კლუბის მუშაობას, ახალი სტუდენტური დღესასწაულების წარმოშობას.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია და დღევანდელი დღე გამოფენაზე სრულად და ნათლად არის წარმოდგენილი, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ყაზანის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ა. კონოვალოვმა.— სასწავლო, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის დონე აქ ძალზე მაღალია. მართალია, უნივერსიტეტი შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ იგი ცნობილია როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი. უმაღლესმა სასწავლებელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარებაში. იგი განთქმულია თავისი მიღწევებით მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის დარგებში. ყოველივე ეს ღირსეულად არის ასახული ექსპოზიციაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

(საკდეს-საქინფორმი)

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ქართული ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისთვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დამაგების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი კარლო კონსტანტინეს ძე **ტაბატაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ბიძინა თევდორეს ძე **გიგაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ევროპეთი

25 ნოემბერი

ფაქტები მოვლენები საკლესი იუწყება

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი

საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოები და პრესა დიდი ინტერესით განმარტავენ საბჭოთა კოსმონავტების ვლადიმერ ლიახოვისა და ალექსანდრე ალექსანდროვის 150 დღე-ღამის ფრენის წარმატებით დამთავრებასა და დედამიწაზე მათს მშვიდობიან დაბრუნებას. ისინი აღნიშნავენ „სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტულ კომპლექსში შესრულებული კოსმოსური კვლევის პროგრამის მრავალფეროვნებას. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების შედეგად მოპოვებული მეცნიერული მონაცემები, ხაზგასმულია რეპორტაჟებში, ხელს შეუწყობს კოსმოსის შემდგომ მშვიდობიან ათვისებას მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები პირველ გვერდზე დიდი სათაურით ბეჭდავენ საკდესის ცნობას საბჭოთა კოსმონავტების ფრენის წარმატებით დამთავრების შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ ორბიტაზე შესრულებულია დიდი მოცულობის რთული სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები, რომელთა მონაცემები საფუძველს შეუქმნის სამეცნიერო ცენტრების საქმიანობას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ „ინტერკოსმოსის“ პროგრამის მონაწილე სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ „სალუტ-7“ სადგურში განხორციელებული გამოკვლევები ახალ პერსპექტივებს უსახავს პილოტირებული ხანგრძლივი ორბიტული ფრენის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

დელი. „საბჭოთა მეცნიერების დიდი წარმატება“, „დიდმნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობიანი მიზნით მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის კოსმოსის თვისებაში“, — ასე განმარტავენ ინდოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ვლადიმერ ლიახოვისა და ალექსანდრე ალექსანდროვის საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ორბიტაზე საბჭოთა კოსმონავტების მუშაობამ შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია. „ოდესმე დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მოგვარდება კოსმოსურ სადგურებში ადამიანთა მუდმივი მუშაობა, და ამიტომ საბჭოთა ეკიპაჟის თითქმის ხუთი თვის ფრენა, ეჭვი არ არის, ამ მიმართულებით გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია“, — აღნიშნა ჯ. მაკლიშმა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სამეცნიერო მიმომხილველმა ჯონ უოლფორდმა, შეეხო რა ასეთი ხანგრძლივი ფრენის მნიშვნელობას, საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ხელს უწყობს უწონობაში საქმიანობის შესაძლებლობათა შექმნას და კოსმოსში ადამიანის ხანგრძლივი ყოფნის ფიზიოლოგიური შედეგების გამოვლენას. „სასვებით ნათელია, — თქვა მიმომხილველმა, — რომ ამ მიმართულებით ბოლო წლებში საბჭოთა კოსმოსურმა მეცნიერებამ დიდი ნაბიჯი გადადგა. საბჭოთა მეცნიერების მიერ შეძენილ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის, როცა დაიგეგმება კიდევ უფრო გრანდიოზული ფრენა“.

რაბათი. მაროკოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ „სალუტ-7“ — „სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმონავტების ვ. ა. ლიახოვისა და ა. პ. ალექსანდროვის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის შედეგები და მისი წარმატებით დამთავრება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ ერთი ტრიუმფია.

მაროკოს საინფორმაციო სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად საბჭოთა კოსმონავტებმა განახორციელეს დედამიწის ირგვლივ სივრცეში მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობისათვის.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერიმენტებით მდიდარი საბჭოთა პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ხანგრძლივი ფრენის შედეგები, აღნიშნულია რაბათის რადიოს ცნობაში ,ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის შესწავლაში.

ფოტოინფორმაცია

26 ნოემბერს სრულდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 59 წლისთავი

სახალხო ხელისუფლების თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე მონღოლეთმა განვლო გზა შუასაუკუნოვანი ფეოდალიზმიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნამდე, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს. დიდი მიღწევები აქვს მოპოვებული რესპუბლიკას მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგებში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ახალ საზოგადოებას საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად აშენებს.

სურათზე: მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორის არქიტექტურაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ძველი და ახალი.

საკდესის ფოტო.

● ბრონადა

ამკაცრებენ რეპრესიებს

ნიუ-იორკი. **გრენადიდან მოსული ცნობებით, კუნძულის მცხოვრებნი კვლავ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკელ ოკუპანტებს.** მიმდინარე კვირის დამდეგს, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, კუნძულის ცენტრალურ ნაწილში მოხდა შეიარაღებული შეტაკება გრენადელ პატრიოტებსა და ამერიკელ ჯარისკაცებს შორის.

გრენადის დედაქალაქის სენტ-ჯორჯესსა და ქვეყნის სხვა ქალაქების ქუჩებში კვლავ დადიან თავიდ ფეხადე შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცების განწესების პატრულები, წერს გაზეთი „ვეილ-ჯ-ვოისი“. ჯარები, აგრეთვე სამოქალაქო ტანსაცმლიანი ამერიკელები კვლავ ყოველდღიურად ჩხრეკენ დასახლებულ პუნქტებს და ეძებენ წინააღმდეგობის ძალების მონაწილეებს. ისინი აწყობენ საყოველთაო ჩხრეკა-დაპატიმრებას, საბოტაჟის შესამოწმებლად აჩერებენ გამვლელებს.

კუნძულის მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების გამაკცრებასთან ერთად ამერიკის ჯარები, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ თქმით, ეწევიან გრენადელთა მასირებულ იდეოლოგიურ დამუშავებას. „უნძულის ერთადერთ რადიოსადგურს, აღნიშნავს გაზეთი, ემსახურებიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხმალდები ელექტრონული საქმეებით, ყველა გადაცემას კი ამზადებენ სპეციალური ნაწილების სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც ფსიქოლოგიურ ომს ეწევიან. ქუჩებში გაკრულია მრავალრიცხოვანი პროკლამაციები, რომლებშიც ქვეყნის ყოფილ სახელმწიფო მოღვაწეებს „დამნაშავეებსა“ და „კომუნისტთა აგენტებს“ უწოდებენ.

რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს მტკიცედ დაამკვიდროს ამერიკის სამხედრო ყოფნა გრენადაში და სხვადასხვა საბაბით გადადოს ქვეყნიდან ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვაშინგტონს პატარა, უნძულოვანი სახელმწიფოს ტერიტორიაზე კვლავ ჰყავს 3100 კაცისაგან შემდგარი კონტინგენტი.

● გფრ-საფრანგეთი

უმაღლესი დონის შეხვედრა

ბონი. **აქ დაიწყო საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მორიგი უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. კოლი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი, პრემიერ-მინისტრი პ. მორუა და ორივე ქვეყნის მთელი რიგი მინისტრები.**

მოლაპარაკების ცენტრშია ორი მთავარი საკითხი — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის მდგომარეობა კონტინენტზე დაწყებული საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებასთან დაკავშირებით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კრიზისის დაძლევის გზები. დღის წესრიგშია ევრეთვე ორმხრივი თანამშრომლობის, უწინარეს ყოვლისა სამხედრო დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება.

● ნიკარაგუა

ამერიკის მხედრიონის გამალებული მზადება

მანაგუა. **ოკუპირებულ გრენადაზე დამკვიდრებისთანავე ამერიკის მხედრიონმა გააქტიურა ხრიკები ცენტრალურ ამერიკაში.** ამასთან, ვაშინგტონში არ მალავენ, რომ სამარი მოქმედების გაჩაღებისათვის გამალებული მზადება ნიკარაგუის წინააღმდეგ არის გამიზნული. მაგალითად, ამერიკის ელჩმა კოსტა-რიკაში კ. უინსორმა დაუფარავად განაცხადა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია „მშვიდად ვერ იცხოვრებს“ სანამ სანდინისტური რევოლუცია გრძელდება.

როგორც პრესა მოწმობს, უკვე შემუშავებულია სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს საომარი ოპერაციები ნიკარაგუის წინააღმდეგ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარისა და „რეინჯერების“ მონაწილეობით, ამერიკის შეერთებული შტატების 8 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე თავმოყრილია ახლა ჰონდურასში, უახლოეს ხანს მოელიან დაახლოებით ათასი ამერიკელი ჯარისკაცის ჩასვლას კოსტა-რიკაში. ნიკარაგუის სანაპიროს გასწვრივ ნიადაგ დაცურავს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების ესკადრა, რომელზედაც იმყოფება 25 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ავბედითი ღრუბლები სულ უფრო აწვება სუვერენულ რესპუბლიკას, რომლის ხალხი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ბლოკადით და კონტრრევოლუციური დაქირავებულების მზარდი გამოდომებით განპირობებულ არაჩვეულებრივად რთულ პირობებში აშენებს ახალ ცხოვრებას.

ჰონდურასის ტერიტორიაზე მოკალთებული სომოსელი არამზადების რაზმების ახალ ბანდიტურ გამოხდომებთან დაკავშირებით ნიკარაგუის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა ჰონდურასს. ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ჰონდურასის ჯარისკაცებმა და კონტრრევოლუციონერმა დაქირავებულებმა 20 ნოემბერს სოლოლა აუტეხეს მურუპუჩის სასაზღვრო საგუშაგოს. იმავე დღეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილმა სომოსელებმა ნიკარაგუაზე ცეცხლი და ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს საზღვრის მახლობლად მდებარე ნიკარაგუის დაბას სანტო-ტომასდელ-სორტეს. ამგვარი თავდასხმები, ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, პრაქტიკულად ყოველდღე ხდება. იგი რეიგანის ადმინისტრაციის გეგმების შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია გააჩაღოს შეიარაღებული კონფლიქტი ჰონდურასსა და ნიკარაგუას შორის.

ასამართლებენ მანიფესტანტებს

სან-ფრანსისკო. **კალიფორნიის ქალაქ პლეზანტონში დაიწყო მასობრივი მანიფესტაციის მონაწილეთა სასამართლო პროცესი.** ეს მანიფესტაცია მოეწყო ლიეტერმორის ბირთვული იარაღის ახალი ნიმუშების შემმუშავებელი ეროვნული ლაბორატორიის წინ 20 ივნისს.

იმავე დღეს პოლიციამ დააპატიმრა და სასწრაფოდ მომზადებულ დილეგებში დაამწყვდია ათასზე მეტი დემონსტრანტი. მათგან თითქმის 250-ს გაასამართლებენ.

● აშშ

რჩევა უშიშროების საბჭოს

ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა ურჩია უშიშროების საბჭოს კიდევ ექვსი თვით, 1984 წლის 31 მაისამდე, გაუგრძელოს მანდატი საერთაშორისო ძალებს, რომლებიც თვალს ადევნებენ დაშორიშორებას გოლანის მაღლობებზე.** ეს ძალები, რომლებიც დაახლოებით 1300 კაცს აერთიანებენ, 1974 წელს შეიქმნა. დღესდღეობით მის შემადგენლობაში შედიან ავსტრიის, კანადის, ფინეთისა და პოლონეთის კონტინგენტები. ისინი განლაგებული არიან ისრაელსა და სირიას შორის, ისრაელის მიერ ოკუპირებულ გოლანის მაღლობებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ „ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა პოტენციურად საშიშია და, როგორც ჩანს, ასეთი იქნება მანამ, სანამ არ მიგაღწევთ ყოვლისმომცველ მოწესრიგებას ახლოაღმოსავლეთის პრობლემის ყველა ასპექტით“.

ცოდნი არიან ურწმუნოი

ფელეტონი

ყორედ რომ, სამაგალითო ამბავია! თხუთმეტი წელიწადია მამია ცაგარელი ამტკიცებს, გამომგონებელი ვარო, და ვერა და ვერ დაუმტკიცებია, არ უჯერებენ.

თუმცა არა, არ უჯერებენო, ასე გადაჭრითაც ვერ იტყვი. არ უჯერებენ მხოლოდ ისინი, ვისაც ევალება განიხილოს და დამტკიცოს მისი გამოგონებები, და რაციონალიზატორული წინადადებანი, თორემ სხვები როგორ არ უჯერებენ, მხარსაც კი უჭერენ.

მაგალითად, ჩვენი კოლეგების, ჟურნალისტების ერთ ნაწილს არათუ სჯერა მისი გამომგონებლური ნიჭისა, ტაშსაც უკრავენ, გაზეთებში წერენ და აქებენ: მიდი, შეუტიე, არ დაუთმო, არ შეარჩინო მაგ ბიუროკრატებსო.

მოგეცათ ღმერთმა, ცაგარელიც უტევს, რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ რად გინდა, არაფერი გამოსდის! ამას წინათ სასამართლოშიც წაგიგია საქმე.

სასამართლოშიო?! მაშ გაუმტყუნებიათ და ეს არის!

კი, გაამტყუნეს ვბრძოლ, თავისი ჭკუით. მოიყვანეს მოწმეები, შეყარეს ცა და ქვეყანა. ექსპერტები ვართო, სპეციალისტები ვართო, გამოჭკეთხეს, დაიფურინეს დასკვნები და გაამტყუნეს ცაგარელი, უარი უთხრეს სარჩელზე: არაფერი გამომგონებელი და რაციონალიზატორი შენ არა ხარ, წყლის ნაყვა და ფიქციაო ყველაფერი; რის გასამრჯელო, რა ჰონორარი, კაპიკიც არაფერი გეკუთვნისო. ის გირჩევნია, შენს საქმეს და საშუშაოს დაუდო გული და ათასი სისულელით თავს ნუ იტკივებო. ესე იგი, არასერიოზული კაცი ხარო, ასე გამოდიოდა მაგათი ნათქვამიდან, აბა, რა იყო.

მერე ეს არის სამართალი?! კაცმა თავის სიცოცხლის საუკეთესო წლები ამ გამოგონებებს შესწირა და შეალია, უნდოდა სიკეთე მოეტანა კაცობრიობისათვის, ისე გაიტაცა ამ კეთილშობილურმა ზრახვამ და იდეამ, მართლაც რომ, გული აიყარა თანდაყოლილი ზეგიერთი რედაქციის ზოგიერთი მუშაკი აღმოუჩნდა). არც დამშვიდდება ცაგარელი, ზის და ახალ-ახალ საჩივრებსა და ჯანცხადებებს წერს სხვადასხვა ინსტანციაში, მერე რა, რომ ყველგან უარით ისტმრებენ, უსაფუძვლო თქვენი საჩივარი, მერე რა, რომ სასამართლოშიც გაამტყუნეს, მერე რა, რომ ამოდ ხარჯავს დროს, ენერგიას, სიცოცხლეს, უქმად ცდება ამ ხნის კაცი და სხვებსაც აცდენს! ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ, როგორ უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ფოტოგრაფია და არა გამომგონებელ-რაციონალიზატორი, სხვა არა იყოს რა, ხალხი რას იტყვის!

— არა და არა, ამაში ვერავინ დამარწმუნებს! —ირტყამს ხოლმე გულში ხელს ცაგარელი და კვლავ ახალი საჩივრის დასაწერად ჯდება, ეს უკვე მეასედ. ამაზეც უარით უპასუხებენ? მეასერთეს დაწერს.

მაშ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რა გვიშველება, რით დავამშვიდოთ ეს კაცი?!

მაგრამ მკითხველი გულნაკლული დაგვრჩება და ამ ძნელ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებაც არ მიეცემა, თუ წინასწარ არ ვუთხარით, კონკრეტულად რა პრეტენზიები აქვს მ. ცაგარელს: რაო, ვითომ რა გამოვიგონეო ასეთი.

შესაძლებლობა რომ მქონდეს დაწვრილებით გიამბობდით ყველაფერს და თავადვე განსჯიდით, მაგრამ, მოგეხსენებათ, გაზეთის ფართობი ფრიად შეზღუდულია და ამ წერილისათვის სულ რაღაც ერთი ხელის დადება ადგილი მაქვს მოცემული, ამიტომ ძალიან მოკლედ მოგახსენებთ.

მ. ცაგარელი რომ ჩივის, აბანონში წყლის გასაცხელებლად ელექტროსადუღარა გამოვიგონო, ასეთი სადუღარა დიდი ხანია არსებობს და მას იყენებენ კიდევაც მისი პირდაპირი დანიშნულებით, ხოლო საქმაბეებში მისი გამოყენება წყლის გასაცხელებლად სასტიკად აკრძალულია უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. ამას წერს და ადასტურებს საკავშირო საპატენტო ცენტრის თბილისის ფილიალის ექსპერტიზის დასკვნა.

ასევე დიდი ხანია ცნობილი ყოფილა ცაგარლის მიერ გამომგონებული მეორე კბარატი — ფოტორელე და დღესაც ფართოდ იყენებენ ყველგან, სადაც ის გამოსადეგია, ოღონდ საკვამლე მილებზე მისი დადგმა, როგორც ცაგარელი ვარაუდობდა, იმავე ექსპერტიზის დასკვნით, თუმრე არავითარ შედეგს არ იძლევა.

მსგავსი ხასიათის ცდომილებანია ცაგარლის სხვა „გამოგონებებშიც“.

ეს იმას ჰგავს, კაცმა კარგად გამოთლილ-გამოხარატებული ბორბალი რომ მოგვიტანოს თავის მორგვეთა და ფერსოთი და პატენტი და ჰონორარი მოგვთხოვოს, მე გამოვიგონე, და ვინაობაა, ასეთ გამომგონებელს, გავკადნიერდეთ და, საყვედური ვკადროთ: მე კარგო ადამიანო, ამ ბორბალმა შუმერების, ბაბილონელებისა და ძველი ეგვიპტელების შორეული წინაპრებიდან მოკიდებული უთვალავი საუკუნეები გადმოიარა ურმით, ეტლით, კარეტით და აგერ ახლახან ორთქლისა და შიგაწვის ძრავით მოგორდა ჩვენამდე, შენ კი ვითომ ახლა აღმოაჩინე?... ასე რომ ვუთხრათ და საყვედური ვკადროთ, საჩივრებით , ჯვარს უნდა გვაცვას?!

სულაც არ მინდა ეუბნეთ შევიტანო მ. ცაგარლის გულწრფელობაში. ეტყობა, იგი ბუნებით დაკვირვებული და მიზვედრილი კაცია, სპეციალური ტექნიკური განათლება არ მიუღია, სამეულო სკოლა დაამთავრა, მოგვიანებით ელემენტარულ ფიზიკას რომ ჩაუღრმავდა, იქნებ მართლაც დამოუკიდებლად მიეგება იმ მეგნეტებამდე, რომლებიც მან თავის აღმოჩენად ჩათვალა. მაგრამ ეს მას უფლებას ხომ არ აძლევს თავი გამომგონებლად და რაციონალიზატორად წარმოიდგინოს და პატენტები და ჰონორარები მოგვთხოვოს?, თვით ბლეზ პასკალს, რომელმაც ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, ვიდრე მათემატიკის მაბინდელ მიღწევებს გაეცნობოდა, დამოუკიდებლად აღმოაჩინა ევკლიდეს გეომეტრია, არასოდეს ჰქონია პირველობის-ჩენის პრეტენ

შემოქმედის ძალა

ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტები

ამ დღეებში გორში, რუსთავსა და თბილისში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო საღამო-კონცერტები, რომლებზეც შედგა მისი მეოთხე სიმფონიური კონცერტის პრემიერა. ქართველი მსმენელი ყოველთვის ინტერესით მოელის ამ რჩეული შემოქმედის ყოველ ახალ თხზულებას. ოპერა „პირველი სიყვარული“ შემდეგ (1981 წელი) კომპოზიტორმა შექმნა საორკესტრო თხზულებათა მთელი ციკლი, რომელიც ამ ახალი მასშტაბური ქმნილებით გვირგვინდება.

აღსანიშნავია, რომ საკომპოზიტორო სარბაღლის დასაწყისში ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებაში სიმფონიური ჟანრი დომინირებდა, მაგრამ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე უპირატესობა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ჟანრმა მოიპოვა. ერთიმეორის მიყოლებით შეიქმნა ვოკალური ციკლები ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, სიმონ ჩიქოვანის, პუშკინის ტექსტებზე, კანტატები, ორატორიები, „გურული“, „მეგრული“, „სატრფიალო“, საგუნდო ციკლები, „საერთო პიმნები“ და სხვა. კომპოზიტორის ძიებანი და მიგნებანი ამ ჟანრში თავის უმაღლეს განსხეულებას ოპერებში პოვებდა. ყოველი ეს ნაწარმოები ესკიზური სახით დაკავშირებული იყო იმ ინტონაციურ, მელოდიურ ქარგასთან, რომელიც მთელი სიცოცხლის „მინდიაში“, „სამ ნოველაში“, „მთვარის მოტაცებაში“, „მუსუსსა“ და „პირველ სიყვარულში“. ამ პერიოდის ინსტრუმენტული მუსიკა ფაქტობრივად სხვადასხვა ინსტრუმენტული კონცერტებით წარმოჩინდება, ეს არის საფორტეპიანო, სავიოლინო და ჩელოს კონცერტების ტრიადა.

მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი ოთარ თაქთაქიშვილის ინსტრუმენტული მუსიკის საუკეთესო ტრადიციებს განაგრძობს, იგი დამოჩრჩება ამ ჟანრისადმი დამახასიათებელი ფაქტურუ ლ ი ბრწყინვალებით, კონტრასტის პრინციპი, რომელიც ამ მონუმენტური ნაწარმოების ოთხ ნაწილს შორის მოქმედებს, მძაფრი დინამიკით, ექსპრესიით აღბეჭდავს მას. ფორმის თვალსაზრისით კომპოზიტორი თხზულების კლასიკური კონცერტის ჩარჩოებში აქცევს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტრადიციულ მეორე ნაწილს იგი სკერცოთი ცვლის, პირველი ნაწილის ბობოლ ვნებათა ახალ, განსხვავებულ ფაზას რომ წარმოადგენს და მხოლოდ შემდეგ შემოჰყავს ნელი ანდანტე — თავისებური ლირიკული აღსარება. ლირიკული ანდანტეს შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად არის ხაზგასმული ფინალის ექსპრესიულ-დრამატული განწყობილება.

ტექნიკურად ძალზე რთულია საფორტეპიანო პარტია. ვირტუოზული პასაჟები არა მარტო კადენციებისათვის არის დამახასიათებელი, არამედ მთელი კონცერტის მანძილზეა გამოკვეთილი. იგი ორგანულად ერწყმის საორკესტრო ფაქტურას და მთელს ლოგიკურ ნაწილს შეადგენს. დიდი შემადგენლობის ორკესტრის ყოერადობის ინტენსიურობა სიმფონიურ გაქანებას იღებს კონცერტში. იგი მართლაც ორი მძლავრი ძალის პაექრობას მოგვაგონებს (კონცერტი ხომ შეჯიბრის ნიშნავს!) და ყოველი შემსრულებლისაგან დიდ ძალასა და დაძაბულობას მოითხოვს. ამ კონცერტში კიდევ ერთხელ გაიელვა თაქთაქიშვილისეული მელოდიის სიტკბომ და მომხიბვლელობამ, ეროვნულმა თვისებებმა.

ახალი კონცერტი ბრწყინვალედ შესასრულეს საქართველოს სახალხო არტისტმა, საერთაშორისო პრემიების ლაურეატმა მარინე გოგლიძე-მდივანმა და საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა ავტორის დირიჟორობით. ურთულეს ტექნიკურ პასაჟებში მარინე გოგლიძე-მდივნის შესრულებით ცვრცნობოდა საოცარი სიმსუბუქე, ვაქაცური ძალა, ტემპერამენტი, უეცრად რომ იცვლებოდა ნაზი, ჰაეროვანი ვნებათა ალიონად ლირიკულ ეპიზოდებში. მხოლოდ მისი დახვეწილი პროფესიული ოსტატობა, შემოქმედებითი ენერგია იყო საფფუძველი იმისა, რომ ბობოქარი ფინალი ბისზე გაემეორებინა.

ავტორის დირიჟორობითვე საახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა ოპერა „მინდიას“ სიუიტა, ოპერის სამი ნაწყვეტის ახალ საორკესტრო ვარიანტს რომ ეერთიანებს. ეს არის „ელეგია“, რომელსაც საფუძვლად მინდიას არია დაედო, ცეკვა „მთიულური“ და „მარშა“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ ქართული თანამედროვე ოპერის საუკეთესო ნიმუშია, ამიტომ მსმენელის დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა საორკესტრო ინტერპრეტაციამ, ავტორმა თავისი ნაწარმოები კომპოზიტორ შალვა მშველიძეს მიუძღვნა, რაც უდავოდ იმით არის განპირობებული, რომ შალვა მშველიძემ პირველმა დაამკვიდრა ქართულ პროფესიულ მუსიკაში საოცრად თავისთავადი ფშაური კილო და ფშაური ჰანგი.

ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედების სათავე, მისი მასაზრდოებელი ნიადაგი ხალხური მუსიკაა. იგი ზედიზედ ეფუძნება ქართულ ხალხურ შემოქმედებას და მტკიცედ ეყრდნობა მას. ქართული ჰანგი მის ნაწარმოებებში პირველსახითაც გვხვდება და გაშუალებული ფორმებითაც. ამ ელემენტს იგი ყველა თხზულებაში აშკარად გამოკვეთს, განსაკუთრებით კი საგუნდო ციკლებში. საავტორო კონცერტზე ორი საგუნდო ციკლი შესრულდა. „სატრფიალო სიმღერებში“, რომლებიც დაწერილია ტენორის, სოპრანოს, ვაჟთა ვოკალური ანსამბლისა და კამერული ორკესტრისათვის, არ გვხვდება რაიმე კონკრეტული ციტატური მასალა, მაგრამ თითოეული მისი ნაწერი — „სევდა“, „განშორება“, „შერჩენება“, „წყაროსთან“ თავისი თვისებებით ძალიან ახლოა ქართულ სასიმღერო ფოლკლორთან. „სატრფოს სიმღერები“ შეასრულეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა ლიანა კალმახელიძემ, თემურ გუგუშვილმა, სახელმწიფო ვოკალურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ და მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოების კამერულმა ორკესტრმა. შავლეგ შილაკაძის დირიჟორობით.

ოთარ თაქთაქიშვილს დიდი და ხანგრძლივი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს ანსამბლ „რუსთავთან“. ეს მაღალმხატვრული და მაღალპროფესიული კოლექტივი, რომელმაც ჭეშმარიტ აღიარებასა და პოპულარობას მიაღწია, მისი არაერთი თხზულების პირველი ინტერპრეტატორი და სულისჩამდგმელია. მათივ შეასრულეს ეს ნაწარმოები პირველად რამდენიმე წლის წინათ.

უკვე აღიარებულია კამერული ორკესტრი „თბილისის კამერატა“ შავლეგ შილაკაძის ხელმძღვანელობით, ორკესტრი მრავალფეროვან საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა და ამჯერადაც წარმოაჩინა მაღალი პროფესიული დონე. მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ნაწილები დახვეწილად, შთამბეჭდავად შესრულდა, ზოგიერთ აკაპელურ ეპიზოდებში რატომღაც დაირღვა ინტონირების ბალანსი და ეფერადობის სისუფთავე.

პირველ ხანებში, როდესაც ლოტბარ შალვა მოსიძის თაოსნობით გორის სამუსიკო სასწავლებელთან მოსწავლე გოგონათა ვოკალური ანსამბლი ყალიბდებოდა, არავინ მოელოდა, რომ იგი ასეთ მაღალმხატვრულ და სანატერესო შემოქმედებითს კოლექტივად ჩამოყალიბდებოდა. დღეს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გორის გოგონათა ანსამბლი შალვა მოსიძის დირიჟორობით საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო ანსამბლია. მათ მიერ ოსტატურად შესრულებულმა ოთარ თაქთაქიშვილის სიუიტამ „ქართული სიმღერებმა“ საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

როდესაც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის ერთ-ერთ პლენუმზე პირველად აღიერდა „ქართლის სიმღერები“, ერთ-ერთმა სტუმარმა განაცხადა: ოთარ თაქთაქიშვილის უდიდესი დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ იგი შესანიშნავ მუსიკას წერს, არამედ ისიც, რომ ასეთი გასაოცარი შემსრულებლების აღმოჩენა შეუძლიაო.

„ქართლის სიმღერები“ ოთარ თაქთაქიშვილის ერთ-ერთი ბოლო თხზულებაა და ხალხური ყოფის ამსახველ ნაირფერ სურათებს მოიცავს; აქ ერთმანეთს ენაცვლება ოსტატურად აგებული და მხატვრულად გაანზრახული სცენები „სათამაშო“, „ქალ-ვაჟის გასაუბრება“, „განთიადი“, „საჭიდაო“, და „სუფრული“ (ეს უკანასკნელი ამ საღამოებზე არ შესრულებულა).

„სათამაშო“ ხალხური ფერხულის სტილშია აგებული, „ქალ-ვაჟის გასაუბრება“ კი ლირიკულ-ჟანრულ სურათს წარმოადგენს, მაგრ ეპასუხება „საჭიდაო“, რომელიც. გამოირჩევა რიტმული სიმკვეთრით, სისწარტითა და იუმორით. ციკლის დრამატურგიული ცენტრია აკაკის ტექსტზე შექმნილი 'მონრლოგი „გაუნიადო“, სოლისტისა და ანსამბლისათვის. „ეგაჩერებული“ ბანის ფონზე ჟღერს ნატიფი, მომხიბვლელი მელოდია (სოლისტი მ. ამუღაძე), რომელიც იმპროვიზაციულად ვითარდება. ამაღლებული, ეპიკური თხრობის სტილი მას ზემოქმედების უდიდეს ძალას ანიჭებს.

ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტებმა რეტროსპექტულად გაგვახსენა მისი შემოქმედების ადრინდელი ფურცლები და დღევანდელი სახე, დაგვანახვა ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედების ძალუმი ინტენსიურობა, ჟანრული მრავალფეროვნებით რომ გამოირჩევა და მისი უსაზღვრო შემოქმედებითი პოტენციალ.

მანანა კორძაია.

სურათზე: *ოთარ თაქთაქიშვილი კონცერტის დროს.*

ჯ. ლომპაძის ფოტო.

ᲮᲐᲑᲐᲠᲘ

პრეტენდენტთა მატჩებზე

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

სმისლოვ-რიბლის მატჩის მეორე პარტიაში თეორებით თამამობდა უნგრელი დიდოსტატი. მან, როგორც ყოველთვის, დახურულ დასაწყისს მიმართა. იგი ასეთი დებიუტების ჩინებულ მცოდნედ ითვლება და მასთან შავი ფიგურებით მოთამაშეებს ძალიან უჭირთ ხოლმე მდგომარეობის გათანაბრება.

სმისლოვმა ამჯერად თავისი არჩევანი ახალინდურ დაცვაზე შეაჩერა, რომელსაც პოზიციური, მანევრული თამაშისაკენ მივყავართ. 14 სვლის შემდეგ მიმომხილველები პოზიციას აფასებდნენ როგორც თანაბარს. შემდეგში დიდხანს ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო რაიმე სერიოზული უპირატესობის მიღწევა. შეხვედრა თითქოს ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბრძოლის უკანასკნელ, მეხუთე საათზე მსოფლიო ექსჩემპიონი შეცდა და ერთბაშად მეტად ძნელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

42-ე სვლაზე პარტია რიბლის გამარჯვებით დასრულდა. ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ᲓᲣᲑᲜᲐ

მეექვსე პარტიით დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი. ალექსანდრია შავებით შეეცადა დაუყოვნებლივ გაეთანაბრებინა ანგარიში და ამისათვის ლაზიერის გამბიტში უმწყვეტეს ვარიანტს ჰიმართა. უნდა ითქვას, რომ აქამდე შედარებით მშვიდად მიმდინარე მატჩში სიტუაციის მკვეთრმა შეცვლამ ლევიტინა, ცოტა არ იყოს, წონასწორობიდან გამოიყვანა. იგი თავიდანვე შეცდა. ლენინგრადელი შეეცადა მეტოქე დაესაჯა ფრიად გამომზეეული მეცხრე სვლისათვის. მან ეს არათუ ვერ მოახერხა, საქმაოდ მალე თვითონ აღმოჩნდა მძიმე პოზიციაში. ძლიერი მე-11 სვლით ალექსანდრიამ ფიგურის მოგების საფრთხე შექმნა. ლევიტინა უსაამოვნო არჩევანის წინაშე დადგა: მას ან პაიკი უნდა დაეთმო, ან ფიგურა შეეწირა ორ პაიკში. თეთრებმა მეორე გზას მიმართეს, თუმცა სულ მალე გამორიკვა, რომ ალექსანდრიას ოიოლად იგერიებდა ტაქტიკურ მუქარას. მალე ქართველ დიდოსტატს ორი ზედმეტი მსუბუქი ფიგურა დარჩა. ლაზიერის შეჩრას შავების ბანაკში არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ალექსანდრიამ თვით გადაისროლა მხედარი მეტოქის განლაგების ზურგში და სავსებით უიმედო მდგომარეობაში ლევიტინამ თავი დამარცხებულად ცნო.

მეექვსე პარტია

ლევიტინა — ალექსანდრია

ლაზიერის გამბიტი

1. მf3 მf6 2. c4 e6 3. მc3 d5 4. d4 კb4 5. cd ed 6. კg5 მbd7 7. e3 c5 8. კ×f6 მ×f6 9. კb5+ მqe7 10. 0-0 c4 11. მe5 ლa5 12. მ×d5+ მ×d5 13. კ×c4 f6 14. ლf3 მb6 15. a3 კd6 16. ლh5 fe 17. ლg5+ მqe8 18. ლ×g7 ეf8 19. b4 ლa4 20. de მ×c4 21. ed ლd7 22. ლg3 ლ×d6 23. ლh4 მe5 24. ეad1 ლe7 25. ლh5+ ეf7 26. f4 მg4 27. e4 მe3 და თეთრები დანებდნენ.

ამრიგად ანგარიში გათანაბრდა — 3:3. მორიგი მეშვიდე პარტია, რომელშიც თეთრებით ალექსანდრია ითამაშებს, დღეს უნდა გაიმართოს.

Ბ. Ა. ᲯᲐᲧᲔᲚᲘ

უეცრად გარდაიცვალა № 9 საგვარაბო რაზმის უფროსი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1961 წლიდან გაიოზ აკაკის ძე **ჯაყელი.**

ბ. ა. ჯაყელი დაიბადა 1926 წელს ქალაქ ბათუმში. 1949 წელს, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, შრომითი მოღვაწეობა დაიწყო ჭიათურის რკინიგზის გვირაბების მშენებლობაზე.

1952 წლიდან თბილისგვირაბმშენის დაარსების დღიდან, მუშაობდა ამ კოლექტივში.

ბ. ა. ჯაყელი ეკუთვნოდა ქართველ ტრანსპორტის მშენებელთა თაობას, რომლებიც იდგნენ ჩვენს რესპუბლიკაში მეტრო და გვირაბმშენებლობის ორგანიზაციის საფუძვლებთან. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ავტოსაგზაო გვირაბები საქართველოს სამხედრო გზაზე. ყვარლის მიწისქვეშა მარანი, კეთილმოეწყო ახალი ათონის მღვიმეების უნიკალური კომპლექსი, აიგო კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ნაპირგასამაგრებელი მრავალი ობიექტი, თუშეთის აუთვისებელი საძოვრებისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა და საქართველოს ბევრი სხვა ობიექტი.

ბ. ა. ჯაყელი აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების სამადლობელ სიგელებით, სამჯერ იყო არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა და რაციონალიზატორის წოდება. ახალი ათონის მღვიმეების კომპლექსის შექმნაში აქტიური მონაწილეობისათვის მას მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სამადლო წოდება.

წავიდა ჩვენგან შემოქმედებითი ძალებით აღსავსე კომუნისტი, ჩინებული სპეციალისტი და ხელმძღვანელი, რომელიც ყველას გვიყვარდა და პატივს ვცემდით როგორც დაკვირვებულ, ინიციატივიან, პრინციპულ, გულთბილ და გულისხმიერ ადამიანს. ბ. ა. ჯაყელის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲡᲘᲛᲯᲘᲓᲠᲝᲕᲔᲐ

ქალთა საკავშირო პირველობაზე შეუფერხებელი სტარტი—ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატის ლიდერი ნინო გურიელი მეექვსე ტურის გადადებულ პარტიაში დამარცხდა ზაიცევასთან. პარტიის განახლებისას გურიელმა მხოლოდ . ორი სვლა გააკეთა და მეტოქეს დანებდა — მოსკოველის უპირატესობა აშკარა იყო. ახლა გურიელს 5 ქულა აქვს 6 შესაძლებლიდან. ნონა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა რუჩევასთან გადადებულ პარტიაში — მისმა მეტოქემ თამაშის განუახლებლად დათმო ქულა. ნონას 4,5 ქულა აქვს. 4-4 ქულა აქვთ ახმილოვსკაიას და ლიტინსკაიას.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲒᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის კინოს სახლში გაიმართა მეცხრეობის, ცხენოსნობისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების დამფუძნებელი კრება. დამტკიცდა საზოგადოების წესდება. მოეწყო საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საზოგადოების დაარსებისადმი მიძღვნილი პლაკატი. ავტორები: **ო. ქოჩაკიძე, ა. სლავინსკი და ი. ჩიკვაიძე.**

Გ. Ვ. ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘ პანაშვიდი გაიმართება 27 და 28 ნოემბერს ხალიმოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (მირცხულავას ქ., № 3 ა), 29 ნოემბერს — დღის 1 საათზე კინოს სახლის შენობაში.

გამოსვენება — 3 საათზე.

დაკრძალვა — დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, კინორეჟისორი

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავი

თუ რატომ იზიდავს ადამიანს მთები, ან რა უდევს საფუძვლად ასეთ „განუკურნებელ“ გატაცებას ამაზე ერთგანზომილებიან პასუხს ვერსად იპოვით. მთებისაკენ ჯიუტი სწრაფვა არც თვითმიზანია და არც ოდენ საკუთარი პატიგმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილი, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ ხოლმე. ასევე უკუსაგდებია საკმარისად გავრცელებული აშკარად გულუბრყვილო შეხედულება, რომელსაც ალპინისტური ქმედების მიზანი მხოლოდ სიმაღლიდან დანახული პანორამის დონემდე დაჰყავს (თითქოს, კოსმოსურ აპარატებს თავი რომ დავანებოთ, თვითმფრინავიდან ან ვერტმფრინავიდან ცუდად მოჩანდეს უსაზღვრო სივრცეები).

უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნების სრულყოფა — საკუთარი თავის აღმოჩენით იწყება. ადამიანი დაკინებით ეძიებდა და ეძიებს ამ გზას, ხოლო მის დასაძლევად იგი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს ირჩევს. თუ ადამიანის გარჯის სხვადასხვა დონეს არ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას, კარგი გუთნისდედა ისეთივე სიამოვნებით გადმოხედავს თავის მიერ ლიანდაგივით გაკვალულ სვრელს, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი სულ ახლახან დამთავრებულ მხატვრულ ქმნილებას.

ალპინიზმი, როგორც სპორტული მოღვაწეობის ერთ-ერთი უნიკალური სახეობა, ჯარბად შეიცავს სწორედ ისეთ თვისებებს, რომლებიც ადამიანში აღვიძებს წინააღმდეგობათა გადალახვის მთვლემარე ძალებს. ვიცით კი კარგად, ვის რა შეგვიძლია? სად ძევს ჩვენი მორალური თუ ფიზიკური ძალების ზღვარი? იძლევა კი ცხოვრება ყოველთვის იმის საშუალებას, რომ შეგამოწმოთ საკუთარი შესაძლებლობანი, რათა უფრო გაბედულად ვიბრძოლოთ იმ ამოცანების გადაჭრისათვის, შემდეგში თვით ცხოვრება რომ შემოგთავაზებს?

ამ თვალსაზრისით ალპინიზმი, რომელშიც ერთგვარად კონცენტრირებულია მრავალგვარი წინააღმდეგობა, ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა. იგი ადამიანში საოკრად აკაჟებს ნებისყოფას, ზრდის მორალურ და ეთიკურ თვისებებს, აყალიბებს მის ხასიათს.

ალპინიზმი კლდეებზე უმიზნო ცოცვა როდია. ბრძოლის ესთეტიკასთან ერთად იგი საოკრად ავითარებს ბუნებასთან სიახლოვის უძვირფასეს გრძნობას, მასთან თანაზიარობის განცდას, რაც ესოდენ სჭირდება, მაგრამ ხშირად კი აკლია თანამედროვე ადამიანს. გზა ეუშმარიტი ჰუმანიზმისაკენ ხომ ბუნებასთან ურთიერთობით იწყება. ცნობილი კანადელი მწერალი და ბუნების მკვლევარი ფარლი მოუტი იხსენებს ერთი მეთევზის თითქოსდა უბრალო ნათქვამს: „ადამიანები ვერ შეძლებენ მშვიდობიან არსებობას ამ ჩვენს დედამიწაზე, ვიდრე არ ისწავლიან მშვიდობიან ურთიერთობას თვით დედამიწასთან“. ამიტომაც ნამდვილი მთამსვლელი არასოდეს აროსნიით არ იხსენებს მის მიერ დაპყრობილ მწვერვალს. იგი მას მხოლოდ და მხოლოდ თავის მასპინძლად თვლის, რომელიც ღირსეულთა შორის ღირსეულს უხსნის თავის კარიბჭეს. იქნებ მკითხველს არ ახსოვდეს ის ფაქტი, თუ როგორი მოწიწებით

მამაცთა სპორტის სახელოვანი იუბილე

რდნილ ამხანაგებს. საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ამის უამრავი მაგალითია.

ალპინიზმის კიდევ ერთი თავისებურება მისი კომპლექსურობაა. საუკეთესო შემთხვევაში აქ ერთმანეთს ერწყმიან ფიზიკური და ინტელექტუალური მონაცემები. გამორიცხულია რომ კლდის რთულ მონაკვეთზე ან ყინულის კლდეებზე სიარული შეძლოს ფიზიკურად სუსტმა სპორტსმენმა, რომელიც სათანადოდ ვერ ფლობს საკუთარ სხეულს. არ არის კოორდინირებული სივრცეში. ამასთან მარშრუტის შერჩევა და ძალთა განაწილება გონების დიდ დაძაბვას მოითხოვს.

ერთი სიტყვით, იმას, ვისაც უნდა, მაღალი რანგის ალპინისტად ჩამოყალიბდეს, მით უფრო დღეს, როცა ალპინიზმმა ტექნიკური და პროფესიული სრულყოფის არნახულ დონეს მიაღწია, იგი ყოველძრივ და ჰარმონიულად განვითარებული სპორტსმენი უნდა იყოს.

ალპინიზმი, საყოველთაო აღიარების, მამაცთა სპორტია და ამასთან დიდ გამოცდილებას სძენს მისით გატაცებულ პიროვნებას. შორს რომ არ წავიდეთ, ეს ხომ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დადასტურდა დიდ სამამულო ომში. საბჭოთა და მათ შორის ქართველმა ალპინისტებმა მართლაც ღირსეული წვლილი შეიტანეს სამამულო ომის ისტორიაში, რათა ფაშისტთა ურდოებს, კერძოდ, მათს მრისხანე სამთო დივიზიებს არ გადმოელახათ კავკასიონის წმიდათაწმიდა ყელტეხილები.

ამ თვისებათა გამო, მთამსვლელური მოძრაობა, როგორც ადამიანის გარკვეული შინაგანი მისწრაფება, ბევრად ადრე უნდა აღმოჩენებულიყო. ასევე გარაუდობენ მსოფლიოს თითქმის ყველა მთიანეთის მკვლევარ-ისტორიკოსებიც. როგორც სხვაგან ასევე ჩვენშიც, კავკასიონზეც, რასაკვირველია, ადრევე უნდა ყოფილიყო მწვერვალთა დაპყრობის ცდები, მაგრამ ეს ექსპედიცია. მწვერვალზე ავიდნენ ადგილობრივი მცხოვრები ეაკ-ზალი და ეექმი პიკარი (სხვათა შორის ტერმინი „ალპინიზმი“, რომელიც ისტორიულიც არის და ზუსტად გამოხატავს საქმის ვითარებას, სწორედ აქედან იღებს სათავეს).

რაც შეეხება საბჭოთა ალპინიზმს, რომლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს დღეს ჩვენი ქვეყანა, იგი მხოლოდ 60 წლისაა.

მის პირველ ნაბიჯებს მსოფლიოდ დაუჭირა მხარი მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ. შედეგები განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. მაგალითად, მასობრიობის თვალსაზრისით, ჩვენი ალპინიზმი დღეს ერთი ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში, ხოლო, რაც შეეხება სპორტულ მიღწევებს, ამ მიმართულებითაც საბჭოთა ალპინიზმმა დიდი ხანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. სხვის რომ თავი დავანებოთ, ამის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანსვეტად იქცა მასობრივი ასვლა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე — ევერესტზე (8848), რომელიც განხორციელდა 1982 წელს.

როგორც ბესარიონ ბელინსკი წერდა, კავკასია და კერძოდ, საქართველო გახდა რუსული პოეზიის პარნასიო, ასევე საბჭოთა ალპინიზმი კავკასიონის პირმშოა, ალპინიზმი ეროვნული ტექნიკურად ისეთი რთული მწვერვალების ერთობლივი ტრავერსი, როგორიც უშბისა და შხელდის მრისხანე ბასტიონებია, იგი გაანორციელა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის ივანე (კაკო) მარის ჯგუფმა 1950 წელს.

როგორც ცნობილია, ჩვენს საუკუნეში ალპინიზმი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. პირველი — ეს არის ტექნიკურად რთული მწვერვალებისა და მე ბრწყინვალე ასვლა, რომლებიც დაკავშირებულია ამ წლების ქართული ალპინიზმის უცვლელი ლიდერის ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. მის მიერ განხორციელებული პირველი საბჭოთა ლაშქრობა ტექნიკურად ისეთ რთულ მწვერვალზე, როგორიც უშბაა (1934 წ.), თავის დროზე შეფასებული იყო საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებად. მისივე სახელთან არის დაკავშირებული ავრეთვე ცენტრალურ კავკასიონზე მოწყობილი გიგანტური ტრავერსი (წყრუნგალიდან შხარის მასივამდე), რომელიც ასევე ეტაპური იყო მთელი საბჭოთა ალპინიზმის განვითარების გზაზე (1940 წ.).

ასევე თვისებრივად ახალ ნაბიჯად იყო აღქმული ტექნიკურად ისეთი რთული მწვერვალების ერთობლივი ტრავერსი, როგორიც უშბისა და შხელდის მრისხანე ბასტიონებია, იგი განხორციელა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის ივანე (კაკო) მარის ჯგუფმა 1950 წელს.

როგორც ცნობილია, ჩვენს საუკუნეში ალპინიზმი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. პირველი — ეს არის ტექნიკურად რთული მწვერვალებისა და ექსპედიციების ბრწყინვალე ასვლა, რომლებიც დაკავშირებულია ამ წლების ქართული ალპინიზმის უცვლელი ლიდერის ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. მის მიერ განხორციელებული პირველი საბჭოთა ლაშქრობა ტექნიკურად ისეთ რთულ მწვერვალზე, როგორიც უშბაა (1934 წ.), თავის დროზე შეფასებული იყო საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებად. მისივე სახელთან არის დაკავშირებული ავრეთვე ცენტრალურ კავკასიონზე მოწყობილი გიგანტური ტრავერსი (წყრუნგალიდან შხარის მასივამდე), რომელიც ასევე ეტაპური იყო მთელი საბჭოთა ალპინიზმის განვითარების გზაზე (1940 წ.).

ასევე თვისებრივად ახალ ნაბიჯად იყო აღქმული ტექნიკურად ისეთი რთული მწვერვალების ერთობლივი ტრავერსი, როგორიც უშბისა და შხელდის მრისხანე ბასტიონებია, იგი განხორციელა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის ივანე (კაკო) მარის ჯგუფმა 1950 წელს.

როგორც ცნობილია, ჩვენს საუკუნეში ალპინიზმი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. პირველი — ეს არის ტექნიკურად რთული მწვერვალებისა და ექსპედიციების ბრწყინვალე ასვლა, რომლებიც დაკავშირებულია ამ წლების ქართული ალპინიზმის უცვლელი ლიდერის ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. მის მიერ განხორციელებული პირველი საბჭოთა ლაშქრობა ტექნიკურად ისეთ რთულ მწვერვალზე, როგორიც უშბაა (1934 წ.), თავის დროზე შეფასებული იყო საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებად. მისივე სახელთან არის დაკავშირებული ავრეთვე ცენტრალურ კავკასიონზე მოწყობილი გიგანტური ტრავერსი (წყრუნგალიდან შხარის მასივამდე), რომელიც ასევე ეტაპური იყო მთელი საბჭოთა ალპინიზმის განვითარების გზაზე (1940 წ.).

ასევე თვისებრივად ახალ ნაბიჯად იყო აღქმული ტექნიკურად ისეთი რთული მწვერვალების ერთობლივი ტრავერსი, როგორიც უშბისა და შხელდის მრისხანე ბასტიონებია, იგი განხორციელა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის ივანე (კაკო) მარის ჯგუფმა 1950 წელს.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ქართული მთამსვლელობის პირველი მესვეურები გახდნენ ჩვენში გეოგრაფთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორები. მთამსვლელობამ მისცა შემდგომი ბიძგი საქართველოში ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებას.

არც ის არის დასავიწყებელი, რომ გარდა, მასობრივი ალპინიზმის გაფართოებისა (გავიხსენოთ თუნდაც ჩვენში ერთ დროს განვითარებული ალპინიადების კულტურა) და სპორტული მიღწევებისა, ქართველი მთამსვლელები მრავალჯერ დახმარებიან სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს მთიანეთის შესწავლა-ათვისების საქმეში გეოგრაფები იქნებოდნენ ისინი, გეოლოგები თუ ტოპოგრაფები. მთამსვლელები ქმედითს დახმარებას უწევდნენ, მაგალითად, ჩვენ